

სელნაწერთა ინსტიტუტის

მ რ ა მ ბ ე

II

მ ო ა მ ბ ე

II

შიბღენილია საქართველოში სანჭიათა სელისუფლების
დამყარების 40 წლისთავისადმი

ილ. აბულაძე

აგათანგელოსის «რიუსიგმანთა მარტვილობის» ძველი
ქართული თარგმანი

1. შესავალი

ძველ სომხურ საისტორიო თხზულებათა შორის ცნობილია «აგათანგელოსის ისტორია», რომელიც „სომეხთა მოქცევას“ მოგვითხრობს¹. სომხურს გარდა ეს ძეგლი შენახულია ბერძნულად. ამ ენაზე ორი რედაქციაა ცნობილი: ვრცელი და მოკლე². მკვლევართა აზრით, ბერძნულის ვრცელი ტექსტი სომხური ე. წ. ნაციონალური რედაქციის თარგმანია, რომლის შესრულებას მეცხრე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს მიაწერენ. მოკლე რედაქცია კი, რომელიც მეტაფრასს წარმოადგენს, სვიმეონ ლოგოთეტის სახელთანაა დაკავშირებული და, მაშასადამე, X საუკუნის უკანასკნელ მეხუთედშია აღმოცენებული.

„სომეხთა მოქცევა“ შემონახულია არაბულადაც³. მისი გამომცემლის აკად. ნ. მარის აზრით, აგათანგელოსის არაბული ტექსტი VII--VIII ს-ში უნდა იყოს თარგმნილი ერთ-ერთი ბერძნული ქალკედონიტური რედაქციიდან, რომელსაც ჩვენამდის არ მოუღწევია.

1892 წლიდან ცნობილი შეიქმნა აგრეთვე ქართული ტექსტი «სომეხთა მოქცევისა». ამ წელს თ. ჟორდანიამ მოათავსა თავისი «ქრონიკების» I წიგნში მისი ერთი ნაწილი⁴, რომელიც შემდეგ, 1920 წ., მთლიანად გამოაქვეყნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა⁵.

¹ არსებობს მისი კრიტიკული გამოცემა: *Ագաթանգեղոսի Գատնիքին Հայոց, աշխատութեամբ Ք. Տ. Մկրտչեան և Ստ. Կանաչեանց. Տիֆլիս, 1908.*

² ვრცელი პირველად Acta Sanctorum-ის VIII ტომში დაიბეჭდა 1762 წ. შემდეგ ეს ტექსტი სომხურთან დაპირისპირებითა და ბერძნულის ლათინურ თარგმანთან ერთად ვ. ლანგლუამ დაბეჭდა კრებულში: *Collection des Historiens acniens et modernes de l'Arménie*, პარიზი, 1867, გვ. 97—194. უკანასკნელად ამ ძეგლის ახლად აღმოჩენილი ტექსტი გამოაქვეყნა პოლ დე ლაგარდმა 1888 წ.: *Abhandl. d. königl. Gesellsch. d. Wiss. zu Göttingen*, 35 (უკანასკნელი და Acta Sanctorum-ის აღნიშნული წიგნი თბილისს არ იზოვება).

³ Н. М а р р, Крещение армян, грузин, абхазов и алабанов св. Григорием (Арабская версия). ЗВО, т. XVI, стр. 63—211.

⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფილისი, 1892, გვ. 19—27.

⁵ ცხორებაჲ წმ. გრიგოლ პართლისაჲ, გამოსცა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა: *Monumenta georgica*, I, *Scriptores ecclesiastici*, № 2, 1920.

დასახელებულ ენებს გარდა „სომეხთა მოქცევა“, მოკლე წიგნის სახით, მოიპოვება აგრეთვე ლათინურად და ეთიოპურად. როგორც ე. გარიტი არ-კვეეს, ორივე დამოკიდებული ყოფილა ბერძნულ ვრცელ რედაქციაზე⁶.

აღნიშნულ ყველა წყაროში შემადგენელ ნაწილად შესულია «რიფსიმე-ანთა წამება». ზოგიერთგან ეს ნაწილი ცალკე წიგნადაც მოიპოვება. ასეთი მაგ., სომხურში, სადაც რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნი, უმეტესად „მრავალთაებში“ (*Ճատրասիր-ებში*) საკითხავად წარმოდგენილი, ზოგჯერ თითქმის ზედმიწევნით ხვდება „სომეხთა მოქცევის“ იმ ნაწილს, რომელიც რიფსიმეანთა წამებას ეთმობა.

რიფსიმეანთა მარტვილობა ცალკე წიგნად ქართულადაც შენიშნეს 1915 წ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა ამ წლის ჟურნალ „Христианский Восток“-ში ცნობა მოათავსა (ტ. III, გვ. 313—314) იმის შესახებ, რომ საახიო მუზეუმის აქანომდე ცნობილი № 56 ხელნაწერის გარდა რიფსიმეანთა წამება შემოუნახავს თბილისის საეკლესიო მუზეუმის № 1043 ხელნაწერსაცო. აქვე ლ. მელიქსეთ-ბეგმა თავისი დაკვირვებაც გაუზიარა მკითხველს, თუ რა წარმონაველობისა არის რიფსიმეანთა ქართული მარტვილობის წიგნი. იგი მისი, აზრით, „ადის ბერძნულ (და არა სომხურ) რედაქციასთან ავთოგრაფიული ძეგლისა—მეტაფრასისა“⁷.

იზიარებდა თუ არა ამ ცნობის გამოქვეყნებელი, ჟურნალის რედაქტორი ნ. მარი ცნობის მომწოდებლის, ლ. მელიქსეთ-ბეგის აზრს, არ ირკვევა. ცნობას ის მხოლოდ იმ შენიშვნას ურთავს, რომ საახიო მუზეუმის № 56 ხელნაწერის მიხედვით მარტვილობის წიგნი დიდი ხანია მომზადებული მაქვს გამოსაცემადო⁸. რამდენადაც ვიცით, აკად. ნ. მარს არც მარტვილობის ტექსტი და არც რაიმე სხვა მისი დაკვირვება ამ ძეგლთან დაკავშირებით არ გამოუქვეყნებია.

მომდევნო ხანებში აქა-იქ ჩნდებოდა რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნის ზოგიერთი ხელნაწერი. უალრესი მნიშვნელობისა იყო მათ შორის მარტვილობის წიგნის ერთი ფურცელი, რომელიც კემბრიჯს მიაკვლია 1932 წ. ცნობილმა ორიენტალისტმა R. Blake-მ და იმავე წელს გამოაქვეყნა⁹. მნიშვნელოვანი იყო ეს ფრაგმენტი მით, რომ XI საუკუნეს ეკუთვნოდა ხელის მიხედვით.

აი ძირითადად ის, რაც აგათანგელოსის „სომეხთა მოქცევისა“ და მასში შემავალი „რიფსიმეანთა მარტვილობის“ შესახებ იყო ცნობილი 1932 წლისათვის.

რიფსიმეანთა მარტვილობის წიგნთა გამოვლინებისა და შესწავლის შედეგად 1934 წ. გამოსაცემად მოვამზადეთ ტექსტი ჩვენ მიერ მოძიებული ყველაზე მეტად სანდო ნუსხების მიხედვით და შევეცადეთ გავვერკვია ძეგლის წარმომავლობა, აღმოცენების ხანა ქართულად და გამოძახილი ძეგლ ქართულ საისტორიო მწერლობაში.

არც მარტვილობის წიგნი და არც ჩვენი დაკვირვებანი მის გარშემო სხვადასხვა მიზეზის გამო აქამომდის არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ ზოგიერთი

⁶ G. Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, გვ. 6—7.

⁷ Христианский Восток. т. III, 1915, стр. 314.

⁸ იქვე, გვ. 313, შენიშვნა.

⁹ Harvard Theological Review, t. XXV, 1932.

შენიშვნა შევიტანეთ წამების ამ წიგნთან დაკავშირებით ამა თუ იმ ნაშრომში. ასე მაგ., 1935 წელს გამოცემულ ერთს ჩვენს წიგნში: «ძველი სომხური ენა: ქრესტომათია წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით» შევიტანეთ ძველ სომხურ ტექსტთა შორის აგათანგელოსის „რიფსიმეანნიც“, რომლის შესახებ ერთგან შევნიშნავდით, რომ ეს ნაწარმოები თარგმნილია ძველად ძველ ქართულზედაც-მეთქი¹⁰. როცა ამას ვაქვეყნებდით, მხედველობაში გვქონდა «რიფსიმეანთა წამების» ის წიგნი, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი ნუსხების მიხედვით წინა წელს გვქონდა მონზადებული გამოსაცემად და რომლის ზოგიერთი ნუსხა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენამდის ჰქონდათ შენიშნული პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგსა და აკად. ნ. მარს (უკანასკნელს ის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოსაცემადაც კი ჰქონია მომზადებული).

მარტვილობის წიგნის შესახებ ზოგიერთი სხვა დაკვირვება 1938 წელს მოვათავსეთ შენიშვნის სახით შრომაში: «იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი». აქ ერთგან ვწერდით: „რიფსიმეანთა წამების ძველი ქართული თარგმანიც არსებობს, ჩვენი ვარაუდით არა უგვიანეს IX ს-ისა. საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ყველა ხელნაწერის მიხედვით, იგი, სათანადო გამოკვლევითურთ, მომზადებული გვაქვს გამოსაცემად. უძველესი ნუსხა XVI—XVII ს-ისაა, ხოლო ფრაგმენტი XI ს-ისაც მოიპოვება, რომელიც R. Blake-ს აქვს გამოცემული წყაროს მიუხედავად „Harvard Theological Review“-ში (ტ. XXV, 1932 წ.). გამომცემლის მიერ recto-დ მიჩნეული გვერდი ჩვენს ხელნაწერთან მიყენებით verso გამოდგა, ხოლო verso—recto“¹¹.

ჩვენმა ზოგიერთმა დაკვირვებამ მხარდაჭერა პოვა სპეციალისტებს შორის. ის დასკვნა, რომ XI ს-ის მეორე ნახევრის ქართველი ისტორიკოსი ლ. მროველი თავისი ისტორიისათვის „რიფსიმეანთა წამების“ წიგნს აგათანგელოსის ისტორიის ბერძნული ვრცელი რედაქციიდან იყენებს, აკად. კ. კეკელიძემაც გაიზიარა და კიდევაც აღნიშნა თავის ნაშრომში: ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I¹².

რაზე ვამყარებდით ჩვენს ზემოთ აღნიშნულ შეხედულებებს ან, საზოგადოდ, რა საკითხებს ვარკვევდით „რიფსიმეანთა წამების“ ქართულ წიგნთან დაკავშირებით, ამას შევეხებით ეხლა.

2. „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ქართული ხელნაწერები და მარტვილობის წიგნის წარმოშობა

პირველ რიგში ჩვენ ხელი მივყავით «რიფსიმეანთა მარტვილობის» წიგნთა ხელნაწერების აღნუსხვასა და ერთმანეთთან მიმართებით მათ შესწავლას. საქართველოს სიძველეთსაცავებში სულ 6 ხელნაწერი აღნუსხეთ და შევისწავლეთ. ესენია: 1) A (ყოფ. საეკლესიო მუზეუმის) № 511; 2) იმავე კოლექციის № 1043; 3) კვლავ იმავე კოლექციის № 1121; 4) S (ყოფ. წერა-

¹⁰ ილ. აბულაძე, ძველი სომხური ენა, ქრესტომათია, წერის ნიმუშებითა და ლექსიკონით, ტფილისი, 1935, გვ. 180, შენიშვნა.

¹¹ იაკობ ცურტაველი. მარტვილობა შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და სიძიებლები დაურთო ილია აბულაძემ, ტფილისი, 1938, გვ. 040—041.

¹² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, მესამე გადაიშუაებული და შეესწავლილი გამოცემა, თბილისი, 1953, გვ. 215.

კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების) კოლექციის № 3640; 5) ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის № 193¹³ და 6) ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის № 87.

დასახელებულ ნუსხათა შორის უძველესია A—511, რომელიც XVI—XVII ს-ისა ჩანს ხელის მიხედვით. ეს ხელნაწერი, რომელშიც «რიფსიმეანთა წამებაც» არის შეტანილი, „მრავალთავს“ ან, როგორც მისი გადაწერის ხანაში ეძახდნენ, „მეტაფრასს“ წარმოადგენს. კრებული, ზოგიერთ მკვლევართა დაკვირვებით, რამდენიმე ხელნაწერის ნაწილებისაგან შედგება. დაულაგებელი და დაუნომრავი ჰქონია იგი ხელთ მის აღმწერელს თ. ჟორდანას¹⁴, რომელმაც ამის გამო ჩვენთვის საგულისხმო ავთოგრაფიული წიგნი უპაგიანციოდ შეიტანა თავის აღწერილობაში. იგი მას ნაწყვეტად (отрывок) თელის, მაშინ როცა ნამდვილად ნაწყვეტს კი არა, ნაწყვეტებს წარმოადგენს, რომელთაც მხოლოდ ერთი ფურცელი, ე. ი. 1/8 აკლია.

ამ უძველეს ხელნაწერს რომ სხვებს, ზემორე ჩამოთვლილებს, ვადარებთ ტექსტობრივად, ირკვევა, რომ იგი უფრო მეტი სისწორით იცავს ტექსტს, ვიდრე სხვები, რომლებშიც, თუ არას ვიტყვით ორთოგრაფიაზე, ხშირად დარღვეულია ძველი ენის ფორმები და შებლალულია ზოგიერთი სიტყვა გაუგებრობის გამო. გამოცემა, ცხადია, ამ უძველესი ნუსხის მიხედვით დავამზადეთ (თუმცა ერთხანს სხვა ნუსხების განსხვავებულ წაკითხვებსაც ვურთავდით, მაგრამ, რადგან ესენი ძირითადად ორთოგრაფიული ხასიათისა იყვნენ, ისიც გვიანდელი ხანისა, მათზე ხელი ავიღეთ). გამოსაცემად შერჩეული ნუსხის (A—511) დანაკლისი ადგილი სხვა, XVIII ს-ის ხელნაწერებით შევავსეთ.

ნუსხების ერთმანეთთან დამოკიდებულების გარკვევის შემდეგ კითხვა შეეხო იმას, თუ რა წარმოშობისაა «რიფსიმეანთა მარტვილობის» ქართული წიგნი. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი მოიპოვებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 146), იგი პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს ეკუთვნოდა. ამ ავტორის განცხადებით, «რიფსიმეანთა წამების» ქართული წიგნი თითქოს ბერძნულამდის ადის და ისიც მეტაფრასამდის.

ქართულ-სომხური ტექსტების გამოწვლილვითმა შეჯერებამ აღნიშნული შეხედულება არ გაამართლა. პირიქით, საწინააღმდეგო გვიჩვენა, — «რიფსიმეანთა მარტვილობის» ქართული წიგნი სომხურზე დამოკიდებული და მისგან მომდინარე აღმოჩნდა. მას ისეთი ნიშნები აღმოაჩნდა, რომლებიც ბერძნულიდან მომდინარედ ვერ მიგაჩნევიან.

რანაირ მიმართებაშია ერთმანეთთან ქართულ-სომხური ტექსტები ან რა ნიშნებია ისინი, რომლებიც მას ბერძნულიდან წარმოშობილად ვერ გამოგვაკვადებინებს?

ქართული და სომხური ტექსტი საერთოდ ერთიმეორის მიწდევარია. თხრობის მხრით არსად არ გვხვდება მათში ისეთი რამ, რაც ერთს გააჩნდეს და მეორეს არა. მიუხედავად ამისა ტექსტობრივი შედარების დროს ქართული ბევრ შემთხვევაში თავისებურია.

ავათანგელოსის სომხური ტექსტი სხვა სომხურ საისტორიო ნაშრომთან მიმართებით სტილის მხრით, როგორც ეს უკვე შენიშნულია ფილოლო-

¹³ ქუთაისის ნუსხა ვადმომიწერა კოლ. ქ. ს ა ნ ი კ ი ძ ე მ, რომელსაც მადლობას ვსწირავ.

¹⁴ Ф. Ж о р д а н и я, Описание рукописей Тбилисского Церковного Музея., книга II, Тифлис, 1902.

გების მიერ¹⁵, ხელოვნურობით ხასიათდება. ლიტონი აღწერისა და გადმოცემის ნაცვლად ხშირად ეხედებით მასში ისეთ გამოთქმებს, რომლებიც ერთიმეორეზე მიწყობილი სინონიმების მწკრივს წარმოადგენს, რაც ძალზე ამძიმებს და ზოგან აბნელებს კიდევ აზრის გაგებას. მარტვილობის ქართული წიგნი ასეთ შემთხვევებში ერიდება სინონიმების მიწყობას, იგი მათ ან „და“ კავშირით გადმოსცემს, ანდა ძირითადად იღებს და სხვებს თავიდან იცილებს. ამ ნიადაგზე ქართულში ზოგან მოკლე ადგილები მოგვეპოვება. მაგ.:

...*ჩასქ ქ თხა დსვიჯურიას ღილასხაქ* ...და ხილვასა მას კეთილისასა მო-
ქს დხაქ დს დხაქ ჭიონს ღანთიანს კ რ ბ ე ბ ო და სიმრავლე დიდი.
ღილასქქ: (გვ. 90,13-14). (გვ. 167,35)

ასეთნაირ დაკლებას გარდა ქართულს არა აქვს სხვა თითო-ოროლა ადგილიც, რომელთა გადმოაქცემლობა ზემოხსენებული მიზეზით არ უნდა იყოს გამოწვეული. ასეთია, მაგ.:

...*ასან ზირქს'ქ დასხრთე იღრიშმ* ...და ძუძველი მისი, ასული ღმრთის-
კასითადათაყაუთს ქ ქაფაქაქ თინამქ, მსახურთაჲ, რომელსა სახელი ერქუა რიფსიმე.
ღქ ანთონს ღქ ზირას ზიქქაქამქ: (გვ. 79,6-7). (გვ. 163,13-14).

ქართულს, როგორც ვხედავთ, არ გადმოაქცია ის, რომ რიფსიმე სამეფო გვარეულობის ჩამომავალი იყო. ანდა:

...*სხ ზანსღ გზიიას ვექქაქაქ ქ რთ-* და გამოიყვანნეს იგინი დაჯაქულნი ქალა-
ღაქქს ღნე ღიონს ზარაღიქ ღნე ღიქმს ავი- ქით მზის აღმოსავალით კერძო ბჭეთა მათ
ღითაქქს იქ რანსღ ქ შხთამიქ ქ ქა- გზასა მას სამეფუთოსა.
მიღქქს: (გვ. 111,5-7). (გვ. 177,2-3).

აქ კი ქართულს არა აქვს აღნიშნული ის მოვლენა, რომ ხსენებული გზა მეწამორის ხილით მიიმართებოდა. შემდეგ:

ხღ ღნქაფსაქ ღნე ქაფაქამქქანს' და სრბით განვიდოდა ფოლოცთა მათ
ხღანსღ ღნე არასღს ქიქია, ღნე ႁქსღ ქალაქისათა.
ღიღონს ქაფაქქს: (გვ.104,7-9). (გვ. 173,43),

რომელი მხრისაკენ მიივლტოდა, არა ჩანს ქართულით, სომხურში კი მხარეც არის დასახელებული და კარიც ქალაქისა, რომლითაც მიეშურებოდა რიფსიმე. ანდა კიდევ:

...*ქაღიქქსამქ არაასღიქქ [ჭრეასთ]* სიმენითა განთქუმულ იყო [თრდატ]
ქ მართას აყათხრეაქმანს. უას ქიღქმქაქ- ლუაწლსა შინა მბრძოლისა და მკდომთა გმი-
აფასნ მონასყ ნასკაქაღიქ ხრსხაქ, რებრ აჩუენა ძალი.
ქაღიღამღიქრბასაღიქქსანს ხანე
ვიღსხაქ: (გვ. 176,4-5).
(გვ. 108,14-16).

¹⁵ ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გამოკვლევა და ტექსტები, თბილისი, 1944, გვ. 075.

მაგრამ სად აჩვენა მან ეს ძალი, არაა დასახელებული ქართულში, სომხურში-
კი ოლიმპიადი არის ნახსენები.

ამათ გარდა ქართულში სრულიად არა აქვს შესატყვისი სომხურის ერთ
ადგილს: *მას სიკსაჲ სამართიოჲსი ზარქანსჲ ღნოჲ ქქამჩნ ზასითათიოჲ, ღნოჲ
ზადასითენ ხსიღხელიო. ქქამჩნ ჩნჯ იჯ სასნანსჲ კარავსაჲ, ჩნჯნ ათი ქქამჩნ ჩი-
რთასიხვალ: მასკან კამარრადალნიქჩინ მთიღნიღნიქხანან ქასიარავსიჲ, რა-
ფთამ ს ანჯაჲ ჯე რაჲ, ირ ჩ ზამანჲ ანჯანჲე ღნოჲ სსიღხეჲს მათობიო* (გვ.
81,16—81,3).

რით აიხსნება ასეთი ხასიათის სხვაობა და დაკლება, ძნელია თქმა. შე-
საძლოა ვივარაუდოთ, რომ ქართული თავისებური სომხურ-
რი ვარიანტიდან მომდინარეობდეს.

ძნელია აგრეთვე ისეთი ადგილების ახსნაც, სადაც ქართული სომხურ
ტექსტს ყოველთვის არ უჭერს მხარს. მაგ.:

1. ...ირ ქ ქსრკაკაღიწი ჯინსაჲ ჯე,
ფირ ვეღახეჩნ ჩიიქიქჩინჲ უზღიქხანგ
ყტსაჲსი ქიიქიქხანგ;

(გვ. 83,9).

2. ...ს არძანჩის არა ვამჲ ყქჯეჩიწ
ლითი ზაროხანგ. კირიამ ვექჯეჩნ ქერს
ფთი. ლისალი უნიჩხესა ქ ბაგჲ ნაოა-
ვაქჩქე ქერსაგ ფიოაგ რიე.

(გვ. 38,12-14)

3. ზო სს მათობ ნჯარჩით, ირ
ს ვზანჩქ, კირ არქსაჲ ვაღანაჲ—ააქრ-
ვიღხე ქანაჲჩნ მანხაჲს, ს ჯაფიღხე
ვერეაროხჩნ აოაჲქ უზღჯანჲ ფიოაი-
რიქხანჲ;

(გვ. 98,15-17).

4. ზო ს ვაქსაჲჩნ ვი ნიოჲს
ქეჩინ ააქრვიღხე, ქეჩიღჲ მანოგ ვეჩხაჲ;
(გვ. 99,4-5).

5. ...ქსიხვალ სიღრნ ჴაქჩანჲ ქ
რარაო ჴიამაქხეიო... ჩაჲე ვიქჩნ ანო
იანჲ ქ აყასაიოარანჲ არვიღხე, ირ ქეჩნ
ვაქს მანხაჲს ქ ვარაო ჴიამაქხეიო;

(გვ. 103,7-11).

6. ...ირ ქიხვანჲ ქ ქქე ვქაქიღხე
ღნოჲ ამანაჲს აყასანაჲს ნრხიო ს ხიქს
მარე;

(გვ. 112,13-14).

რომელი ქვშასა ზედა დაშენებულ იყო
რომელსა ვითარცა ეცნეს ქარნი, დამეჴა: და
იყო დაცემა იგი მისი დიდ.

(გვ. 165,7-8).

და ღირს მყვენ ჩუენ ხუთთა მათ თანა
ქალწულთა, რომელთანი არა დაუშრტეს სან-
თელი მათნი ქორწილსა მას, და ლამესა ვითარ-
ცა ღლისი გჴლოდჲ გამობრწყინებებასა ჩუენ
ზედა პირსა შენისასა დიდებითა.

(გვ. 165,10-13).

შენ ხარ, რომელმან განარინე დანიელ,
რომელი-იგი მისცეს შესაჴმელად მჴეცთა. და
დაიცევე იგი მღჴმესა მას შინა.

(გვ. 171,14-16).

შენ ხარ, რომელმან განარინე სუსანა,
მჴევეალი შენი, ორთა მათგან ცრუთა მოწამეთა...
(გვ. 171,23-24).

წმიდაჲ იგი გაიანე ეტყუადა სიტყუათა
ამათ ებრაელებრ... იყვენეს ვინმე მუნ მტარვალ-
თაგანნი მეფისანი, რომელთა ესმოდა ყოველი
იგი სიტყუაჲ ებრაელებრი.

(გვ. 173,24-27).

...რომელნი შევრაცხნეს რიცხუსა მოწა-
მეთასა, ყოვლითურთ იყვენეს რიცხუთ ოცდა-
ათურამეტ კაც.

(გვ. 177,26-27),

აღნიშნულ მოწმობათაგან პირველი ოთხი, რომლებიც ბიბლიის ეპიზო-
დებს ეხება და განსხვავებულია სომხურისაგან, შეიძლება მთარგმნელის საკუ-
თარი შემოქმედება იყოს, ანდა აღებული ჰქონდეს რომელიმე მისთვის ცნო-
ბილი ნაწარმოებიდან (ასეთ მომენტებს ქართულ სხვა ნაწარმოებშიც ვხვდებ-
ით). გადმონაკეთები ან, მით უმეტეს, თარგმანი არა ჩანს. რაც შეეხება
დანარჩენ ორ მოწმობას, იქ ფაქტიური მომენტები შეცვლილია: 1. ლტოლ-

ვილნი ებრაელებრ მეტყველებენ და არა რომაელებრ, როგორც ეს სომხურ-
შია; 2. მოწამეთა რიცხვი ქართულში ოცდათვრამეტია წყაროს ოცდაჩვიდმე-
ტის ნაცვლად. აქაც შესაძლოა რაიმე განსხვავებული მოსაზრებით ხელმძღვა-
ნელობდა მთარგმნელი (თუ იგი მას ეკუთვნის და არა გადამწერთ), ანდა ეს
სხვაობა კვლავ თავისებური სომხური ვარიანტიდან მომდი-
ნარეობდეს.

სომხური ტექსტის კრიტიკული გამოცემის ერთ ადგილს არ უჭერს
მხარს ქართული მარტვილობა. მის ნაცვლად იგი სომხური ტექსტის შენი-
შენაში გატანილ ზოგიერთ ნუსხასა და აგრეთვე უძველეს პალიმფსესტურ
ხელნაწერს ემხრობა¹⁶. ეს ადგილია:

...აჲაჲ ქო ს რ კ ი ც ე ს ა თ ი რ ე ს
ნამჲანს იჯასკხაჲ...
(გვ. 90,9).

და შემდგომად სამისა დღისა ჰამბავი
იგი განმრავლდებოდა.
(გვ. 167,31).

ქართულის მსგავსად ხსენებულ ნუსხებსა და პალიმფსესტში „ს რ კ ი ც ე“ — ო რ-
თა-ს ნაცვლად „ს რ კ ი ც ე“ — სამთა არის.

ქართულისა და სომხური ტექსტებისა შედარებისას ყურადღებას იპყრობს
კიდევ ერთი გარემოება. ქართულში თხრობა ზოგან მესამე პირის ნაცვლად
პირველი პირით მიმდინარეობს:

1. *ქაანს აკიორიქ ქიიხაჲ ვერქერ
ბნისიანს ქირსანგ. ეჩნუა ს ვითავითაბა
ს დმრბაორ ვთვფასქივა ს ვითამაქანსა
ქაანს ასთილაბაქანს ირამანჩის ვანბჩისა
ქირსანგ ირესთაქანს ვითარქასკანს კარ-
ფორ ქოსთორსაჲ ქარიონს ვაჟიქსნამჲრ,
ეჲ ვსითაბ თსასანს კარასგნს.*
(გვ. 85,8-12).

ამისთვის დაუტევეთ ქვეყანასა ამას,
რომელსა ვიშვენით, ნაყოფსა. მონაგებთა და
მაალობელთა. თესლთა მათ და ტომთა სიტყვ-
საებრ უფლისა, რომელმან ჰრქუა მოციქულთა,
ვითარცა მათ მღვდარეთა თანა განწესებულთა
შრომითა სიმენისაჲთა, რაჲთა ღმერთი ვინი-
ლოთ.
(გვ. 165,37-41).

2. *...აკეჲ მქანს ქს იჲ იქე, იჲ
აკრქეჲ ვერსიჲ ნორა, ქერს ვმარგარით
ასთილაქანს ვთხაჲ სნოიქსნამჲ, ვხხაჲ ს
ვვიჯავსაჲ ქრჩხ ნამ. ათხაჲ ვჯუანს აკ-
თიქს, ვყასანს მავაიორიქხანს ს კარგაჲ-
ასკანს მათივანსი. ირყეს ასთილაქანსი-
ქხანს ქოსთაჲ აკიორიქს ერსხაჲ ათაჲჲ ხხ-
ქანთიჲჲჲ ჯაკასათანს აქსარჩის აქამაჲ,
ქსჲ ქააალორქხანს ათ ასთილაბიქხანს
სუჯიჲჲ იქხს ვთხისერო.*
(გვ. 89,12-18).¹⁷

გარნა ვიმარხავთ ხოლო მცნებათა მისთა,
და ვითარცა მარგალიტნი პატრიოსანნი გამო-
ენდეთ, სიხარულით მივისწრაფეთ განმზად-
ებულნი პატივსა მას სამეფოელსა სასუფეველსა
შინა, და გამოვჩნდეთ, აქაცა პატრიოსანნი
ბრწყინვალედ წარმართთა ამას სოფელსა სომ-
ხეთისასა, რომელთა დიდებისა და ღმრთის-
მსახურებისა წილ აღუყვებოდეს სოფელი ესე
ვერპებითა.
(გვ. 167,19-24).

აღნუსხული შენიშვნებიდან ნათლად ირკვევა, რომ ქართული მარტ-
ვილობის წიგნი საერთოდ მხარს უჭერს არსებულ სომხურ
აგათანგელოსს, მაგრამ ამასთან ერთად იგი თავისებურება-
საც იჩენს, რაც სომხურის განსაკუთრებული ვარიანტი-
საგან მომდინარეობაზე უნდა მიგვითითებდეს და არა
რაიმე გაუგებრობის ნაყოფზე.

რიფსიმეანთა წამების ქართული წიგნის სომხურიდან მომდინარეობას
მიტომ აღვნიშნავთ ასე დავინებით, რომ ის ისეთი ნიშნების მატარებელია,

¹⁶ *ზილჯარბანს, ვერქანს ძიიქაბიჲ... ქხხანსა, 1911, 67-160.*

რომლებიც სხვა რომელიმე უცხო წყაროდან ვერ შემოვიდოდა მასში. ასეთია პირველ ყოვლისა საკუთარი სახელები. მათი გადმოცემა უმეტესად სომხურ ფორმას უჭერს მხარს და არა სხვა რომელიმეს. გეოგრაფიულ სახელთაგან ასეთებია: 1. „ვალენშეა-ქალაქი“, რომელიც *Վաղարշապատ*—ვალარშაპატის შესატყვისად არის ნახმარი ქართულში. 2. „არტაშა ქალაქი“, რომელსაც სომხური ტექსტით *Արთաշատ քաղաք*—არტაშატ ქალაქი შეესატყვისება. 3. „ნორქალაქი (|| ნორქალაქი)“, რომელსაც სომხურით *Նորաքաղաք*—ნორაქალაქი უდრის.

სომხურზე დამოკიდებულების ასეთ აშკარა მაჩვენებელ ნიშანთა გვერდით ვხვდებით აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთა ისეთ ქართულ შესატყვისებს, რომლებიც ტრანსკრიბციას არ წარმოადგენენ. ასეთებია: 1. „კუბანი“ (*sic*) *Մարպათական*—ატრპატაკანის შესატყვისად. 2. „არშაკთა სოფელი“ *Պարქև-სաց կողմ*—პართეველთა კერძო-ს შესაბამისად. 3. „სარკინოზნი“ *Ճանկաստան*—ტაქკასტანის აღსანიშნავად. 4. „ფრომინი“ *Մուზաց աշխարհ*—იონთა სოფელ-ის გამოსახატავად. პირველს გარდა ყველა დანარჩენი ასეთი შესატყვისობით მოიპოვება აღრინდელ ქართულ მწერლობაში.

მოსალოდნელი იყო აგრეთვე, რომ სომხური საკუთარი სახელის, *Նուշան*-ის შესაბამისად ქართულში „შუშანი“ ყოფილიყო, მაგრამ ამის ნაცვლად „სუსანი-ს“ ვხვდებით, თუმცა ეს მართო ჩვენი ძველის დამახასიათებელი არაა. ასეთი შემთხვევა მოიპოვება სხვა, უეჭველად სომხურიდან მომდინარე ძველ-შიც. ესაა: „წამებაა წმიდათა მოწამეთა მესუკავეთა“¹⁷. აქ ვკითხულობთ:

ისმინე, უფალო, ლოცვისა მოსავთა	<i>Լուր տէր աղօթից ծառայից քոյ</i>
შენთაჲსა, ვითარცა ისმინე ლოცვაჲ დანიელისი	<i>յուսացելոց ի քեզ, որպէս լուար աղօթիցն</i>
და სუსანაჲსი და ივსენ დანიელ პირისაგან	<i>Դանիէլի և Նուշանայ, իրկելով զԴանիէլ</i>
ლომთაჲსა და სუსანა ცრუთაგან მოხუცე-	<i>ի զքոյ առիժոց և զՆուշան ի դան</i>
ბულთა ¹⁸ ...	<i>Յերոյ.</i> ¹⁸

«რიფსიმეანთა წამების» წიგნში ჩვენ ბლომად ვხვდებით სომხურთან სავსე მქონე საზოგადო სიტყვებს. დიდი უმეტესობა მკვიდრი სომხური სიტყვები არაა, უმთავრესად ირანული ენობრივი სამყაროდან არის სესხებული. ზოგი ამათგანი, უეჭველია, სომხური გზით უნდა იყოს შემოსული ჩვენში ზოგიერთ სხვა წყაროდან მომავალთან ერთად. ამის ამოცნობაში ხელს გვიწყობს ის დალი (ფორმისა და შინაარსის მხრით), რომელიც ასეთ სიტყვებს აზის არაპირდაპირი გზით შემოსვლის გამო. ჩვენი ნუსხიდან ასეთებს ეკუთვნის:

1. აბზონი *ამբონ* *anbōn* (ფალ.)
2. გეჰენია *გეჰნან* *gēi-hinnom* (ებრ.), ბერძ. *γέεννα*.
3. ჟამი *ჟამ* *zamān* (ფალ.).
3. ჟრაქარაკი *ჯრაყარაკ* **frapādak* (ფალ.).
5. ჰრავარტაკი *ჰრავარტაკ* *fravartak* (ფალ.).
6. (სა)ვანი(ე) *վան* **wahana* (ირან.).
7. ქალაქი *քաղաք* *kalak* (ასურ.).

¹⁷ ი ლ ი ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში..., თბილისი, 1944, გვ. გვ. 0131—0136; 22—61.
¹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 45, 7—9; 14-19. შდრ. *Սոփերք Հակականք*, XIX, გვ. 48, 14-19.

უფრო ძნელია რაიმე გადაწვეტილების გამოტანა იმ სიტყვების მიმართ, რომელთა წარმოშობა სომხურისათვის უცნობია. ასეთებია:

- | | |
|--|---|
| 1. (ჰ)ამბავი <i>ნამაღა.</i> | 6. სენაკი <i>სხნსაყ.</i> |
| 2. დასი <i>დასა.</i> | 7. ტრფ(იალი) <i>თიფ(იფ).</i> |
| 3. ბილწი <i>ყჩღბ.</i> | 8. ფოლო(რ)ცი <i>ჭიფიფ.</i> |
| 4. პარი <i>ყორ.</i> | 9. კემმარიტი <i>ჯეპარქო.</i> |
| 5. (და)პატრ(ული) <i>ყაათორიათონ.</i> | 10. ცოფი (სიცოფე) <i>ვიფი(ილჭქს).</i> |

დავას არ იწვევს, რასაკვირველია, ისეთი სიტყვა, რომელიც საკუთრივ სომხურია, ე. ი. გარკვეული კორესპონდენციის მქონე ინდო-ევროპულ ენებში. ასეთია:

1. სასტიკი... *სასთიქ* (←*სასათ*).

დანარჩენ სიტყვათა შესახებ გვგონია, რომ ისინი შეიძლებოდა უშუალო დაც შემოსულიყვნენ ქართულში:

- | |
|---|
| 1. ბუნ(ება) <i>ბუნ(ილჭქს)</i> <i>bun</i> (ფალ.) |
| 2. გუნდი <i>გუნდ</i> * <i>gund</i> (ირან.) |
| 3. მარგალიტი <i>მარგარქო</i> <i>μαργαρίτης</i> (ბერძ.) |
| 4. ნიში <i>ნიშან</i> <i>nišan</i> (ფალ.) |
| 5. პატივი <i>პათიქ</i> * <i>pativ</i> (ფალ.) |
| 6. როპიკი <i>რონიქ</i> * <i>rōčik</i> (ფალ.) |
| 7. ვაჭარი <i>ვაჩარ</i> <i>vāčar</i> (ფალ.) |
| 8. ტანჯვა(ნი) <i>თანჯონ</i> * <i>tanj</i> (ფალ.) |
| 9. ტაძარი <i>თაძარ</i> <i>tačara</i> (ძვ. სპ.) |
| 10. ტომი <i>თომ</i> <i>tohm</i> (ფალ.) |
| 11. შენ (დაშენება) <i>ქჩნ(ლი)</i> * <i>čēn</i> (ფალ.) ¹⁹ . |

რიფსიმეანთა მარტვილობის ქართულ წიგნში ვხვდებით ისეთ სიტყვებსაც, რომლებიც, მართალია, სომხურ ლექსიკაში საბადლოს პოულობენ, მაგრამ შემონახული სომხური ტექსტის სათანადო ადგილის ტრანსკრიბციას კი არ წარმოადგენენ, არამედ მის სინონიმს. ასეთებია—1. „ნიორაკთ-მოდლუარი“ და 2. „სიმიადთ-მწერალი“. პირველის, — ნიორაკთ-მოდლურის, — შესატყვისად სომხურში *საჩრასკაყსა* იყო მოსალოდნელი, მაგრამ იგი შეცვლილია *ჟარჯაყსა* სინონიმით. *საჩრასკ* ფალაურიდან შემოსულად ითვლება სომხურში, ხოლო ქართულში სომხურიდან შემოსული უნდა იყოს. მეორე სიტყვის, — სიმიადთ-მწერლის, — შესატყვისად მოსალოდნელი იყო სომხურში *სხმაფჩრ*, ხოლო გვაქვს—*ხჯანაფჩრ*; *სხმაფჩრ*, ისე როგორც „სიმიადთ-მწერალი“, ბერძნულიდან ჩანს შემოღებული როგორც სომხურში, ისე ქართულში.

აღნიშნული სიტყვების ხმარება მარტო ჩვენს ძეგლს არ ახასიათებს. მრავალი მათგანი სხვა თხზულებებშიც იხმარება, როგორც თარგმნის, ისევე ორიგინალურშიც. ყველაზე იშვიათი მათ შორის შემდეგია:

1. ბუნება—სამკვიდროს (წარმოშობის ადგილის) შინაარსით;

2. დაპატრული—დახეულის, დაგლეჯილის აზრით (აქიდანაა: „პატარა“—ნახევის, ნაგლეჯის, ნამცეცის, მცირის, ცოტას გაგებით);

¹⁹ ეტიმოლოგიებისათვის იხ. ჯ. მ. ა. ნ. ა. ნ., *Հայերէն արմատական բառարան*. I—VII ტტ. ერევანი. 1926—1935.

3. პარი—ცეკვა-თამაშის ანუ როკვის აზრით;

4. ნიორაკთ-მოძღუარი—მთავარი მსახურის, ბრძანების აღმსრულებლის გაგებით, და

5. სიმიაფთ-მწერალი—ნიშნებითა თუ მნიშვნელოვანი ამბების მწერლის შინაარსით²⁰.

იშვიათი ხმარების სიტყვათა ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ „გუთუფარიც“. აი კონტექსტი, სადაც ის გვხვდება:

ეგრე სახედ (ლაპარაკია გველის შესახებ) აწ მფეფ ესე უკეთური გუთუფარ იყო და მით ჰბრძანეს ეკლესიათა და მსახურთა ღმრთისათა.

სიქწყას ს საათ ექსაყაირს აწირს ექყანასაჲ სრქსაჲ ეთხასაჲ ნიქას მართიოესაჲ ქრე ასთილბაჯუნ სსხესესაჲ (გვ. 80,9-10).

(გვ.163,30-31).

ამ ადგილიდან თრდატ მეფე „გუთუფარ-ად“ არის წარმოდგენილი. „გუთუფარს“ სომხურით *ქაწანასჲ სრქსაჲ*, ე. ი. „ფარი სახეთა“ შეესატყვისება. რომ მართლადაც „გუთუფარი“ საბრძოლო იარაღია, ეს ერთი სხვა ძველი ქართულის ძველიდანაც ჩანს. ესაა იპოლიტე რომაელის განმარტება „დავითისა და გოლიათისთჳ“, რომელიც მოთავსებულია შატბერდის კრებულში (X ს-ის ხელნაწერში, S—1141). აქ ვკითხულობთ: „შესძრვიდა [გოლიათი] ჯაქუ-ქურსა თჳსსა და თავსა ყრიდა, უთქუმიდა, გულსა შინა იმულრობდა ვითარცა ზუარაკი, მუოდა ვითარცა ლომი, და აღიპყრა ვიდრე სიმალღედ თჳსადმდე გუთურფარი თჳსი და აჩუენებდა მარჯუენესა ჯელსა ბრკიანლებითა ჰოროლსა მას...“ (S—1141, გვ. 324).

როგორც ვხედავთ, რიფსიმიანთა მარტვილობის „გუთუფარი“ აქ წარმოდგენილია „გუთურფარ-ის“ სახით, რაც უფრო მართებული ჩანს. იგი კომპოზიტი უნდა იყოს, შედგენილი „გუთურ“+„ფარ“-ისაგან²¹.

ლეონტი მროველის ბერძნულ აგათანგელოსზე დამოკიდებულებას და «რიფსიმიანთა მარტვილობის» ქართული წიგნის სომხური აგათანგელოსიდან ნათარგმნობას კიდევ ერთი შემთხვევა მოწმობს. როარტაგის ერთი ადგილი სომხურისა: *„ს ქნჯ რამსათოქჩან იჯ ყიკ ქ ნიოსა“* არ მოიპოვება არც ბერძნული აგათანგელოსის ვრცელ რედაქციაში და, ცხადია, არც ლეონტი მროველთან, რომელიც მისით სარგებლობს. «რიფსიმიანთა მარტვილობის» ქართულ წიგნს კი ეს ადგილი ასე აქვს გადმოცემული: „არა თუ სიმტკიცე რაჲმე არს მათ თანა“. ქართულ კონტექსტში გაუგებარია „სიმტკიცე“, იგი არ შეესწორება სომხურ *რამსათოქჩან*-ს. ეტყობა, აქ non sens-თან გვაქვს საქმე. ქართულად გადმომღებს არგვია *რამსათოქჩან* და *რამსათოქჩან*, რაც გრაფიკულად დასაშვებია, მით უმეტეს, თუ პატივის ქვეშ იქნებოდა ეს სიტყვა.

ამნაირად, ჩვენი ძეგლის საკუთარ სახელთა გადმოცემა, ისე როგორც მისი სომხურ-ქართული საერთო ხმარების

²⁰ უცხო სიტყვათაგან, რომლებიც მარტვილობის წიგნში იხმარება აქა-იქ და, საერთოდ. იშვიათთა ძველი ქართულისათვის, აღსანიშნავია: „მანი“ (აქიდან: „მემანე“), რაც ფალაური სახე უნდა იყოს სპარსული *مانا* minჲ-სი (ე. ი. შუშისა. მინისა). და „როსკიბ-ი“ როსპიკ-ი, რაც აგრეთვე ამავე მნიშვნელობის ფალაური *ruspik*-ია (იხ. Nyberg, Hilfsbuch des Pehlevi, II Glossar, Upsala, 1931, p. 198). „მანი“ საბასაც აქვს ზემორე აღნიშნული შინაარსით დამოწმებული ბიბლიიდან: იობ 28.17 (შდრ. A—51).

²¹ სხვა არქაული ქართული სიტყვების ნუსხა იხილეთ ბოლოს (გვ. 179-180).

ლექსიკა და ერთგან შენიშნული non sens-ი აშკარად მიგვიჩვენებს (ასზე, რომ ქართული წიგნი რიფსიმეანთა მარტვილობისა სომხურიდან არის მომდინარე, იგი მის თარგმანს წარმოადგენს. ის თავისებურებანი და გადახრანი კი, რომელთაც იგი იჩენს სომხურ ტექსტთან მიმართებით, მოწმობენ იმას, რომ ქართულს გამოუყენებია არსებული სომხური ძეგლისაგან რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი, რაც, უეჭველია ფასეულს ხდის ქართულ ძეგლს.

3. როდინდელია ქართული თარგმანი „რიფსიმეანთა მარტვილობისა?—

პირდაპირი ნიშანი, რომელიც გვაუწყებდეს ძეგლის ქართულად აღმოცენებას, არ მოიპოვება. როგორც აღვნიშნეთ, მარტვილობის წიგნის უადრინდელესი ნუსხა, ფრაგმენტის-სახით, XI ს-ს ეკუთვნის, სრული კი XVI-XVII ს-მდის არსად შეინიშნება. ერთი უკიდურესი ზღვარი, რომლისთვისაც ჩვენი ძეგლი არსებულად უნდა მივიჩნიოთ ქართულად, XI საუკუნეა. მეორე მიჯნა კი, რომლის უწინარეს ის თარგმნილი ვეღარ იქნებოდა, VIII საუკუნეა. ამ საყრდენს თვით ძეგლი გვამცნობს. მის დასასრულს გვითხვლობთ: „ხოლო ვითარ იდიდნეს გუამნი მათნი (ე. ი. რიფსიმეანთა) ვრცელსა მას გრიგოლის ცხორებასა წერილ არს“-ო. გრიგოლის ვრცელი ცხორება, როგორც ვნახეთ, აგათანგელოსის ისტორიაა, რომლის ერთ ნაწილს „რიფსიმეანთა მარტვილობა“ შეადგენს. ჩამოყალიბება ამ ისტორიისა სომხურ ენაზე, რომლისაგანაც ქართული წიგნი რიფსიმეანთა წამებისა მომდინარეობს, VIII ს-ის საქმელ ითვლება. ამიტომ არის სწორედ, რომ ეს საუკუნე, უფრო ზედმიწევნით, ამ საუკუნის პირველი ნახევარი ითვლება ხანად. როცა ჩვენანდის პოლწეული აგათანგელოსის სომხური რედაქცია შეიქმნა²².

ამ ორ უკიდურეს ზღვართა შორის, VIII ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ს შუა, უნდა დაიდვას, მათსადამე, რიფსიმეანთა მარტვილობის ქართული წიგნის წარმოშობა. ენობრივი ნიშნების მიხედვით ეს ზღვარი შეიძლება უფრო ამ პერიოდის დასაწყისისაკენ წამოვიღოთ, კერძოდ VIII ს-ის მეორე ნახევარსა ან მეცხრე საუკუნის დამდეგზე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკმაოდ ვრცელი მარტვილობის ჩვენი წიგნის მანძილზე შეიმჩნეოდა როგორც არქაული, ისე უცხოური ისეთი ლექსიკა, რომელსაც ჩვენი ენის ძირითად ფონდში VIII ს-მდის მკვიდრად უდგას ფეხი. ამასთან მარტვილობის ტექსტში არც ერთი არაბული და არც ერთი ახალი სპარსული ენის ლექსიკური ერთეული არ მოიპოვება, რაც მხოლოდ მერვე საუკუნის გასულიდან შეინიშნება ჩვენს მწერლობაში.

მარტვილობის ტექსტის ენის ადრინდელობას, სხვათა შორის ზოგიერთი ტერმინის ძველი შინაარსით ხმარებაც მოწმობს. როგორც არა ერთგზის აღვნიშნავს, აკად. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ძველ ქართულ ძეგლებში VIII ს-მდის ზედმიწევნით იყო გარჩეული „სოფლისა“ და „ქუეყანის“ ხმარება. „სოფელი“ მსოფლიოს ან მის ნაწილს (და არა ძველი ქართულის „დაბას“) აღნიშნავდა და „ქუეყანა“—მიწას, ტერიტორიას²³. ამ მხრივ რიფსიმე-

²² ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგნი I. ტფ., 1935, გვ. 144.

²³ აკად. ივ. ჯავახიშვილის ამ დაკვირვებაში ბოლო ხანს ეჭვი შეიტანეს. პ. ინგოროვას თავის ნაშრომში („გიორგი მერჩულე“) „სოფელთან“ დაკავშირებით უწერია: „მაგრამ ეს

ანთა ქართული მარტვილობა ყველგან წესს იცავს. „სოფელი“ მასში ყველა იმ ადგილსაა ნახმარი, სადაც სომხურში *აქსარ* ან *ყაჟაჟ* ზის, ხოლო „ქუე-ყანა“ — სადაც *სრქრ*-ია.

არის კიდევ ერთი ტერმინი, რომელიც მისი ადრინდელი შინაარსით ხმარებაზე უნდა მიგვითითებდეს. ესაა „გლეხი“, რომელსაც ძირითად ხელნაწერში (A—511) ვერ ვხვდებით ნაკლებუფავანების გამო; იგი გვიანდელ ნუსხებს შემოუნახავს. მარტვილობის წიგნში აღნიშნულია, რომ რიფსიმეს სანახავად სომხეთში შეიკრიბა ყველა.

...ნა ს ზაქარარე ს ძსბამბე და ნთავართა მათგანნი. იგიცა ერთი-
აოაყანაიკნ რსწოგსაქრ ქოხასსქ ეძქმს- ერთსა ჰქდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილ-
ამარ სკოსქქს: ზა ს აყათაძიკოს, ქათ- ვად სიკეთესა მისსა. და აზნაურნი იგი აღოუ-
ზონაყანზ ამ რ ი ქ ს ს ზანდესქ, ეძქმს- ულად გლეხითურთ ეტენებოდეს.
ამარ ექიანსქს: (გვ. 167,35-33).

(გვ. 90,14-16).

„გლეხ-ის“ შესაბამისად სომხურში *ამრიჲ*, ე. ი. „ბრბო“ არის ნახმარი ამრიგად, „გლეხი“ აქ გლეხის, ე. ი. მიწის მოქმედის აღმნიშვნელი არაა. ამ აზრით ამ სიტყვას ძველ წყაროებში მხოლოდ X ს-დან ვხვდებით²⁴. მანამ მისი ასეთი ხმარება არაა შენიშნული. იგი ადრე სოციალურად დაბალ ფენას აღნიშნავს, იქნება ის სოფლად თუ ქალაქად. ამ აზრით არის სწორედ ხმარებული ეს ტერმინი რიფსიმეანთა წამების წიგნშიც.

ქართული მარტვილობის ტექსტის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს აგრეთვე რიფსიმეს აღსრულების თვის ძველებური, არარომაული სახელწოდებით ხმარებაც. „და აღესრულა ოცდა ექუსსა თთუესა სთულისასა წმიდაჲ იგი რიფსიმე“, ვკითხულობთ აქ ერთგან ჩვენ (გვ. 177,28), რაც სომხურში ასეა დაცული: *„სრქ ქ ჟასს ს ქ ქსე ამიკნ ზი ი ქ სათარესაჲ აოკრნ ჴიქიქ-*

შეხედულემა (არ კი ამბობს, თუ ვის ეკუთვნის ის, — ი. ა.) ტერმინ „სოფლის“ ისტორიის შესახებ (რაც პირველად იმ დროს იყო გამოთქმული. როცა ქართული სალიტერატურო ტნის ისტორიის საკითხები ნაკლებად იყო შესწავლილი). არ არის სწორი. ძველ ხანაში სიტყვა „სოფელი“, როგორც ირკვევა, ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: იგი აღნიშნავდა როგორც ზოგადად ქვეყანას, ისე ცალკე დასახლებულ პუნქტს, დაბას. ასეთი ორმაგი მნიშვნელობით იხმარება ეა ტერმინი უძველესი ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომლებშიაც მიღებულია წარმართული ხანის კალენდარული ტერმინოლოგია (წარმართული ხანის თვეთა სათვალავი) და რომლებიც ამ სათარისო მაჩვენებლების მიხედვით მე-5—7 საუკუნეთა გვიან დროს ვერ მიეთუენება“ (გვ. 503).

ეს აბალი შეხედულემა ცარიელ, ლიტონ განცხადებას წარმოადგენს. პ. ინგოროყევა ცდება, რააკვირველია, როცა ის მე-5—7 სს-ისად მიჩნეულ ტექსტებს. რომელთაც მხოლოდ X—XI ს-ის ნუსხებით ვიცნობთ, ხელუხლებლად წარმოიდგენს მათში. ჩვენი ტერმინის შეახებ კერძოდ ის უნდა ითქვას, რომ მე-9 ს-იდან თანდათანობით იწყება ძველი ნორმის რღვევა და იქ, სადაც კრიტიკულად განწყობილ ავტორს „სოფელი“ ხედება, ადრე სწორედ „დაბაა“ აღნიშნული. ეს ჩვენი განცხადება გარკვეულ ფაქტებს ეყრდნობა. ასე მაგ.: სინას მთის ცნობილ მრავალთავში 864 წლისა ერთგან, სადაც საუბარია ჯვართა გამოჩინებაზე, „როპელი გამოუჩნდა კოსტანტინე მეფესა მდინარესა ზედა დანუბსა, რომლისა მიერცა მოიძია პატიოსანი ძელი ჯუარისაჲ წმიდასა ქალაქსა იერუსალემს. სწერია (227r): „ბრძანა ყოველთა ჰურიათაჲ ქალაქებსა და დაბნებსა და ყოველსა ჰურიასტანსა წარმოდგომად წინაშე მისსა“. მერმინდელი საუკუნეების მრავალთავებში ეს სიტყვა უკვე შეცვლილია „სოფლებით“. ასეთი მოვლენის გაუთავალისწინებლობა, რააკვირველია „სოფელს“ დაიყვანს „დაბა-ზე“.

²⁴ ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1944, გვ. 198—199.

ჩუ „სთულისაჲ“ კარგად ესწორება ჩოჩი-ს, მაგრამ რამდენად წესიერად არის შეფარდებული ხსენებულ თვეთა რიცხვები, ეს ცალკეა საბეჭდო.

4. აგათანგელოსის ისტორიისა და კერძოდ „რიფსიმიანთა მარტილობის“ გამომავალი ქართულ საისტორიო მწერლობაში

სომხური აგათანგელოსის ისტორია, რომელიც მარტოოდენ ერთი რედაქციით არის ჩვენამდის მოღწეული, ჩამოყალიბებულად ითვლება VIII ს-ში. ეს, ე. წ. ნაციონალური სომხური რედაქცია, რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. მკვლევარ ისტორიკოსთა შეხედულებით მისი ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი თავდაპირველად ცალკე თხზულებებს წარმოადგენდა²⁵. არა ერთი ეპიზოდი მიაჩნიათ შეტანილად მასში შემდგომშიც. ზოგიერთ შემადგენელ ნაწილს, როგორც ირკვევა, ძველადვე გასცნობია ქართული საისტორიო მწერლობა და გამოუყენებია კიდევ ისინი მას, როგორც მაგ., XI ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსს ლეონტი მროველს.

ძველი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მკვლევართათვის უქვეყლი იყო და არის ლეონტის მიერ უცხო წყაროების გამოყენება წარმართობის ხანის ქართველთა თავგადასავლისა და მოქცევის სურათის დასახატავად. დაწვრილებით ამ საკითხს სხვებზე უფრო მეტად აკად. კ. კეკელიძე ეხება²⁶. მან აღწუსა უცხო წყაროთა შორის ყველა ის სომხური წარმოშობილობის წყარო, რომლებითაც ლეონტის უსარგებლია. ასეთად კი მიაჩნია: 1. აგათანგელოსის ისტორია ანუ „მოქცევაჲ სომეხთაჲ“, 2. რიფსიმიანთა მარტილობის წიგნი და 3. მოსე ხორენელის „ცხოვრება სომეხთისა“.

აკად. კ. კეკელიძემ არა მარტო აღრიცხა გამოყენებული წყაროები, არამედ ცადა კიდევ ზოგიერთის შესახებ ეჩვენებინა აგრეთვე ის ტექსტები, რომლებსაც იყენებდა ისტორიკოსი. ასე მაგ., «სომეხთა მოქცევის» ანუ გრიგოლ განმანათლებლის ცხოვრების შესახებ ის ფიქრობს, რომ ლ. მროველს ეს ძველი ხელთ უნდა ჰქონოდა ბერძნულ ენაზე, „მაგრამ არც ერთი მათგანი, რომელთაც დღეს ვიცნობთ ჩვენ“, არამედ სხვა, მესამე, რომელიც „უფრო უახლოვდება მეტაფრასულს, ვიდრე ვრცელ აგათანგელოსს“²⁷. ამ მხრივ საწინააღმდეგო შეხედულებას ადგას პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი²⁸. მასაც უდავოდ მიაჩნია ის, რომ ქართველი ისტორიკოსი აგათანგელოსის ისტორიით სარგებლობს, მაგრამ ჰგონია, რომ ლ. მროველს ქართლის მოქცევისთან დაკავშირებული ამბებისათვის გამოეყენებოდა ბერძნულიდან მომდინარე (სვიმონ ლოგოთეტის მეტაფრასის) ქართული თარგმანი, რომელიც მან გამოსცა 1920 წელს²⁹.

თუ „სომეხთა მოქცევის“ მიმართ საკითხი იმდენად მაინც მოგვარდა, რომ ბერძნული აგათანგელოსის ესა თუ ის რედაქცია ან თარგმანი იქნა ნაყარაუდვეი ქართველი ისტორიკოსის წყაროდ, სამაგიეროდ მის მიერ გამო-

²⁵ ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური მწერლობა, I, თბ., 1935, გვ. 71—83.

²⁶ კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები: ტფილისის უნივერსიტეტის შიგნით, III, 1923, 27—56.

²⁷ იქვე, გვ. 29.

²⁸ Л. Меликсет-беков, Грузинская версия Агафангелия и ее значение: Христ. Восток. IV 2, გვ. 155—170.

²⁹ ლ. მელიქსეთ-ბეგი, ცხოვრება წმ. გრიგოლ პართლისაჲ, თბ., 1920.

ყენებული სხვა სომხური წარმოშობილობის წყაროს შესახებ, როგორცაა 1. რიფსიმეანთა წამება და 2. მოსე ხორენელის ისტორია, ესეც ვერ მოხერხდა. პირველის შესახებ პროფ. კ. კეკელიძემ მხოლოდ ის აღნიშნა, რომ იგი, ე. ი. რიფსიმეანთა წამება, ლეონტის უნდა გამოეყენებინოს მანამ, სანამ ის ინტერპოლაცია შეიქმნებოდა „აგათანგელოსის ისტორიისა“, ე. ი. დამოუკიდებელი თხზულების სახით, მაგრამ რომელ ენაზე, გადაჭრით ვერას ამბობს. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი «რიფსიმეანთა წამებას» ცალკე წყაროდ არ მიიჩნევს ქართველი ისტორიკოსისათვის. მისი შეხედულებით, რიფსიმეანთა მარტვილობა, ისე როგორც გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრება, ლეონტი მროველს აღებული აქვს ბერძნული მეტაფრასული რედაქციიდან მომდინარე ქართული თარგმანიდან. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ხსენებულ საკითხში მკვლევართა შორის ერთი აზრი არ არსებობს, რის გამო იგი კვლავ საძიებელ საგნად რჩება.

ის გარემოება, რომ «სომეხთა მოქცევის» ბერძნულიდან მომდინარე თარგმანის გვერდით (რომელშიც ძლიერ მოკლედ მოთხრობილია «რიფსიმეანთა წამებაც») ცალკე სახით მოგვეპოვება «რიფსიმეანთა მარტვილობის» წიგნიც, აკად. კ. კეკელიძის ზემოთ აღნიშნულ ნოაზარებას, რომლის თანახმად ლეონტიმ სომხური წარმოშობილობის წყაროთაგან, სხვათა შორის „რიფსიმეანთა“ ცალკე არსებული მარტვილობითაც ისარგებლა, უსათუოდ ანგარიშგასაწევსა ხდის. ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლეონტი მროველს ეს მარტვილობა ჰქონდეს გამოყენებული თავის „შრომაში“, მით უმეტეს, რომ გამორკვეული არაა, თუ რომელ ენაზე გაეცნო მას ისტორიკოსი. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის შეხედულება, ვითომც ლეონტის ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოთხრობილი სომეხთა მოქცევის ამბავი აღებული ჰქონდეს 1081 წ. ქართულად თარგმნილი „გრიგოლ პართეველის ცხოვრებიდან“, აქ დასმულ კითხვას ვერ დაუპირისპირდება, რადგანაც პროფ. კ. კეკელიძის სამართლიანი შენიშვნისა არ იყოს, ლეონტის არ შეეძლო ესარგებლა იმ შრომით, რომელიც მის შემდეგ ითარგმნა. თუნდ სადაოც რომ გახდეს მროველის მოღვაწეობის ხანის განსაზღვრა და კიდევ მიიჩნიონ იგი 1081 წლას „შემდგომი ხანის მოღვაწედ, მაინც ვერ დამტკიცდება ის დებულება, რომ ლეონტი მროველს „გრიგოლ პართეველის ცხოვრება“ ჰქონდეს გამოყენებული, რადგანაც, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემ აღნიშნა, ლეონტის ნაწარმოებსა და ხსენებულ თარგმანს შორის ფაქტობრივ ნაწილში განსხვავება არსებობს⁸⁰. ამათ გარდა მროველის მონათხრობი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, სულ სხვა წყაროსთან იჩენს დამოკიდებულებას.

როდესაც ვადარებთ ერთმანეთს „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ქართულ ტექსტსა და გრიგოლ პართეველის ქართული ცხოვრების წიგნის შემადგენელ ნაწილად შესულ ხსენებულ მარტვილობას, შევნიშნავთ, რომ ისინი ურთიერთისაგან დიდად განსხვავდებიან როგორც შინაარსის, ისე ენის მხრით. ასე მაგ.: „გრიგოლ პართეველის ცხოვრებით“ სომეხეთს მოსულ ქალთაგან ერთი ლტოლვილთაგანი მატყლის ხელობის მცოდნეა: „და მიერ მოირეწდა საზრდელსა და განუყოფდა მისთანათა მათ ქალწულთა“. „ხოლო „რიფსიმეანთა მარტვილობის“ ცალკე შემონახული წიგნით, როგორც ქართულით, ისე სომხურითა და მისგან მომდინარე ბერძნული ვრცელი რედაქციით, ეს ქალი შემანა, ე. ი. ნანის ანუ შუშისა მძივებისა თუ ლილების მკეთებელი. ამნაირი

⁸⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1923, გვ. 240—246.

ვითარების გვერდით აღსანიშნავია ისიც, რომ რიფსიმეანთა თავგადასავალი პართეველის ცხოვრებაში (ბერძნული მეტაფრასიდან შესრულებულ თარგმანში თეოფილე ხუცესმონაზონისა) საერთოდ მოკლედ არის გადმოცემული, ვიდრე ეს მარტვილობის წიგნშია. კერძოდ, გრიგოლ პართეველის ცხოვრებაში არაა მთლიანად ერთი საგულისხმო ადგილი, სახელდობრ, დიოკლიტიანე კეისრის მიერ თრდატ სომეხთა მეფესთან გაგზავნილი როარტაგი, რომელიც მთლიანად აქვს დაკული ლეონტი მროველს, გრიგოლის მარტვილობის ანუ „სომეხთა მოქცევისა“ ბერძნულ ვრცელ რედაქციას, არაბულსა, და, ცხადია, პირველწყაროს—სომხურ აგათანგელოსს. პართეველის ცხოვრებაში წარმოდგენილია მხოლოდ ამ როარტაგის დასასრულის მცირეოდენი ნაწილი. და ეს მოვლენა, რომ, ლეონტი მროველს აქვს ისეთი რამ, რაც გრიგოლ პართეველის ქართულ ცხოვრებას არ მოეპოვება, შეუწყნარებელსა ხდის პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებას, რომლის მიხედვით ლეონტი მროველს თითქოს უნარგებელია გრიგოლ პართეველის ცხოვრების ქართული წიგნით. „სომეხთა მოქცევის“ არაბული ვერსია შედარებით მოკლეა, დაწურულად გადმოგვცემს იმ მომენტებს, რომლებსაც სხვები აღნიშნავენ. ამგვარად, როარტაგის მთლიანად ამსახველი ძეგლებია: სომხური აგათანგელოსი, მისი ბერძნული თარგმანი (ვრცელი რედაქცია: «*μαρτύριον ἁγίου Πρωκτίου*»), რიფსიმეანთა ქართული მარტვილობა, რომელიც სომხურიდანვე არის ნათარგმნი, და ლეონტი მროველის საისტორიო ნაშრომი. როცა ანათ ვადარებთ ერთმანეთს და ვსწავლობთ ერთმანეთთან დაპირისპირებით, გარკვეულ პასუხს ვიღებთ ჩვენთვის საგულისხმო კითხვებზე. პირველ ყოვლისა ანითაც ირკვევა ის, თუ რა ადგილი უჭირავს რიფსიმეანთა ქართული მარტვილობის წიგნს სხვა ენებზე არსებულთა შორის, და მერმე—საიდან მომდინარეობს ლეონტის თხრობა სომეხთა მოქცევის შესახებ.

დასახელებულ მასალას რომ ერთიმეორეს ვუპირისპირებთ, თვალში გვხვდება ის მოვლენა, რომ ლეონტის ზოგან ქართული მარტვილობის წიგნთან მიმართებით გამოტოვებული ადგილი მოეპოვება. ხსენებული მარტვილობისაგან განსხვავებით, ისე როგორც მისი წყაროსაგანაც (სომხური აგათანგელოსისაგან), მას ზოგჯერ საწინააღმდეგო მოვლენაც ახასიათებს: მას ისეთი ადგილები მოეპოვება, რომლებიც რიფსიმეანთა ქართულ მარტვილობაში და, მაშასადამე, სომხური აგათანგელოსის ისტორიაშიც არაა. ეს გარემოება მროველის ისტორიის აღნიშნული ნაწილის მარტვილობის ქართულ წიგნზე დამოკიდებულების სასარგებლოდ არ მეტყველებს. მისი წყარო, ამრჩად, რადგან ქართული მარტვილობის წიგნი და მისი სომხური წყარო გამორიცხულია, ისევ უცხო ნიადაგზე უნდა ვეძიოთ, სახელდობრ, ბერძნულზე.

ლეონტი მროველის ბერძნულზე დამოკიდებულებას სხვა მხარეებთან ერთად განსაკუთრებით ერთი ადგილი განსაზღვრავს, რაც რიფსიმეანთა წამების მოხსენებასთან დაკავშირებით აქვს გადმოცემული ისტორიკოსს. ამ ადგილს „ქართლის ცხოვრების“ ესა თუ ის ნუსხა სხვადასხვანაირად გვაწვდის. მარიამ დედოფლისეულსა და ვახტანგისეულ ქართლის ცხოვრებაში» ეს ადგილი ასე იკითხება: „და მოიწივნეს ლტოლვილნი არეთა და სანახებთა ს. მ. ხითისათა, ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან ახალქალაქ, უაღრეს შეხებულსა, რომელ არს ღვინი, საყოფელი სომეხთა მეფისა (M გვ. 66, 17; W 93, 19 ზ. კიკინაძის გამოცემა). ანა დედოფლისეულ ქართლის ცხოვრებაში» აღნიშნული ადგილი ასეა წარმოდგენილი: „და მოვიდეს არეთა სომეხეთისათა,

ახლახან მოყვანილი ადგილის გაგრძელება იმავე «ქართლის ცხოვრებიდან»: „და გუუუწყებიან სასწაულნი იგი, რომელნი იქმნნეს ჟამსა წამებისა მათისასა მოქცევასა შინა სომეხთასა“ (გვ. 66). ეს ამონაწერიც, რასაკვირველია, პროფ. კ. კეკელიძის დაკვირვებისა არ იყოს, ერთმანეთისაგან გარჩეულ ორ ძეგლს გულისხმობს: „წამების წიგნსა“ და „სომეხთა მოქცევას“ და იმ აზრს გვიკარნახებს, რომ ლეონტი მროველს ისინი ცალ-ცალკე სცოდნოდა და არა გამთლიანებული ერთ კრებულად.

«ქართლის ცხოვრების» სხვა ნუსხები სხვანაირ გაგებას გვაწვდის. ასე მაგ., ვახტანგისეულ «ქართლის ცხოვრებაში» ამ ადგილს შემდეგს ვკითხულობთ: „ხოლო ურჩ ექმნა რაჲ ტრდატს საქმისა ამისთჳს წმიდაჲ რიფსიმე, მაშინ იწამა იგი მის მიერ წამებისა ღუაწლითა, მის თანა გაიანეცა, დედამძუძე იგი მისი, და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა-იგი წერილ არს წიგნსა მას წამებისა მათისასა, მოქცევასა შინა სომეხთასა“ (ზ. ჭიჭინაძის გამოც. გვ. 95). აქედან კი ის ჩანს, რომ „წამების წიგნი“ შესულია „მოქცევასა შინა სომეხთასა“ და ასეთი მთლიანი კრებული სცოდნია ლეონტი მროველს. ასეთივე აზრია გატარებული ქალაშვილისეულ «ქართლის ცხოვრებაშიც», სადაც ვკითხულობთ: „ხოლო წმიდა რიფსიმე არა დაემორჩილა და ელინა მრავალთა სასწაულთა იგი და დედამძუძე მისი გაიანე და სხუანი მრავალნი მათთანანი, ვითარცა წერილ არს წამება მათ ყოვლთა და სასწაულნი მათნი მოქცევასა სომეხთასა“. ამას უქერს მხარს ანა დედოფლისეული «ქართლის ცხოვრებაც», სადაც უკანასკნელი სიტყვები ასე იკითხება: „ვითარცა წერილ არს წამება მათი და სასწაული მოქცევასა სომეხთასა“ (მე-7 რვეულის მე-12 გვ.).

ამნაირად ირკვევა, რომ «ქართლის ცხოვრების» ნუსხების უმრავლესობა „რიფსიმეანთა წამებას“ ნაწილად მიიჩნევს „სომეხთა მოქცევასა“. ამიტომაც, ამ მხრივ უნდა შესწორდეს აკად. კ. კეკელიძის შეხედულება, ვითომც „რიფსიმეანთა წამება“ ცალკე წიგნის სახით გამოეყენებინოს ლეონტი მროველს.

არსებულ ცნობებსა და წყაროების შედარებაზე დაყრდნობით ლეონტი მროველის წყაროს შესახებ შემდეგი პასუხის გაცემა ხერხდება: რიფსიმეანთა წამებისა და სომეხთა მოქცევის თხრობისას ლეონტი მროველს გამოეყენებული აქვს ერთიდაიგივე წყარო, შემცველი როგორც წამებისა, ისე მოქცევისაც. ეს წყაროა ბერძნული და ისიც ამ ენაზე დაცული დღევანდელი ვრცელი ვარიანტი თუ არა, მისგან არც ისე დიდად დაშორებული.

აგათანგელოსის შესწავლა უკანასკნელი წლების მანძილზე მეტად გაცხოველდა. უმეტესად ეს საქმე ბელგიელი ორიენტალისტის პროფ. ე. გართის სახელთან არის დაკავშირებული. მან 1946 წ. გამოაქვეყნა თავისი კაპიტალური ნაშრომი (G. Garitte. Documents pour l'étude du livre d'Agathange. Vatican, 1946: «Studi e testi», 127, XVIII+447), სადაც მისთვის ჩვეული გულსმოდგინებით, ძირითად მიზანთან ერთად—გამოეკვეყნებინა მის მიერ მიკვლეული გრიგოლ სომეხთა განმანათლებელის ცხოვრების ახალი ბერძნული ტექსტი—სრულად განიხილა აგათანგელოსის ისტორია თუ მისი ცალკეული ნაწილები, რომლებიც სხვადასხვა ენაზეა დაცული. მისი ყურადღების არეში იყო და არის, რასაკვირველია, ქართული წყაროებიც. შეუმჩნე-

ველი არ დარჩენია მას არც ერთი ქართულად გამოქვეყნებული მასალა და მათ რიცხვში რ. ბლეიკის მიერ მიკვლეული მცირეოდენი ფრაგმენტები კი რიტსიმიანთა წიგნიდან²², რაც მან დაალაგა თანმიმდევრულად და მასთან დაუძებნა მას წყარო და განსაზღვრა თარგმანის თვისება.

ჟ. გარითმა დაწვრილებით შეისწავლა მის მიერ მიკვლეული გრიგოლ განმანათლებელის ბერძნული ცხოვრების წიგნი აგათანგელოსის სხვა არსებულ წიგნებთან დაკავშირებით და დაადგინა მისი უახლოესი კავშირი არაბული ცხოვრების წიგნთან, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიაკვლია და გამოსცა აკად. ნ. მარმა.

«რიტსიმიანთა მარტვილობის» იმ ნაწყვეტს, რომელიც რ. ბლეიკმა აღწერა და გამოაქვეყნა 1932 წ., აგათანგელოსის მკვლევარმა ცალკე შრომა უძღვნა 1948 წ.²³ აქ მან ვრცლად წარმოადგინა ადრე გამოთქმული (1946 წ.) თავისი შეხედულებანი და თან ხელახლა გამოაქვეყნა მარტვილობის წიგნის ფრაგმენტები სათანადო ანალიზით.

აღნიშნულ ნაშრომებს, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ «რიტსიმეანთა მარტვილობის» ქართულ წიგნს შეეხება, მოჰყვა ჩვენი ავტორის სხვა შრომები: 1. Une Version Arabe de «l'Agathange» grec dans le sin. AR 395 (Extrait du „Muséon“, tome LXIII, 3—4, pp. 231—247), Louvain, 1950 და 2. Une Vie Arabe de saint Grégoire d'Arménie (Extrait du „Muséon“, tome LXV 1—2, pp. 51—71), Louvain, 1952.

წინამდებარე ჩვენი გამოცემით აგათანგელოსის ისტორიით დაინტერესებულ პირთ და პირველ რიგში ჟ. გარითს, მეტად ნაყოფიერ მკვლევარს საერთოდ ფილოლოგიაში და კერძოდ ქართულში, ვაწვდით «რიტსიმეანთა მარტვილობის» ძველ ქართულ თარგმანს, რომელიც სომხური აგათანგელოსიდან მომდინარეობს. აქამომდე ის იცნობდა ამ ძეგლის მხოლოდ მცირე ნაწყვეტს (ბლეიკისგან გამოქვეყნებულს), რომლის მიხედვით მან რიტსიმეანთა მთლიანი წიგნის არსებობა დაუშვა ქართულად. უთუოდ სასიამოვნოა ისიც, რომ ფილოლოგიური ძიებისას ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად რიგ საკითხებზე ჩვენ ერთნაირი პასუხი მოგვეპოვება (შდრ. ზემოთ, გვ. 147).

²² G. Garitte, Documents pour l'étude du livre d'Agathange, p. 13—16.

²³ G. Garitte, Sur un fragment géorgien d'Agathange. Extrait du „Muséon“, tome LXI 1—2, Louvain, 1948

[103 v.] თთუესა სკედენბერსა :ლ

წამებამ ჳმდღისა რიფსიმისი და
ბაიანისი და მოჰუასთა მისთამ¹

1. და იყო მათ ჟამთა ოდენ ეძიებდა ცოლსა დეოკლიტიანე კეისარი, და წარავლინნა ყოველთა მიმართ საბრძანებელთა მისთა გამომხატვარნი ქე-შმარიტად ჰასაკისა ფიცარსა ზედა, რაჟთა ვითარცა იყოს ჰასაკი და ქმნულ-კეთილობამ პირისამ და ხატი წარბთამ² მსგავსად ქმნულკეთილობისა მისისა, ვინცა იგი იყოს, და მიუპყრან იგი.

მას ჟამსა პოვეს ჰრომეს ქალაქსა საწყდობილჲ ერთი ქალწულთა, განშო-რებულნი ყოვლისაგან, თესლის მჰამელნი, მღუძარენი და უბიწონი და წმიდანი დედანი ქრისტოს მიმართ შორწმუნენი, რომელნი დღე და ღამე და ყოველსა ჟამსა დიდებასა და ქებასა მისცემდეს ღმერთსა. და ლოცვამ მათი ისმოდა ღმრთისა და შეიწირვოდა მისა მიმართ. რომელთა³ მთავარსა ერქუა გაიანე, და ძუძე-ული მისი ასული ღმრთის მსახურთამ⁴, რომელსა სახელი ერქუა რიფსიმე.

და ვითარცა მიიწინეს მძლავრნი იგი და შევიდეს წმიდათა მათ მკნეთა საყოფელსა, და იხილეს ქმნულკეთილობამ იგი რიფსიმესი, დაუკვრდა და დასულბეს შუენიერებასა⁵ მას ზედა ჰასაკისა მისისასა, გამოხატეს იგი ფი-ცარსა ზედა, მიუპყრეს წინაშე კეისრისა.

და ვითარცა იხილა⁶ შუენიერებამ⁷ იგი და ქმნულკეთილობამ რიფსი-მესი, აღიმრღუა გულის-თქუმითა ტრფიალებისაჟთა, და დასულბა⁸ იგი გუ-ლის-თქუმითა, და მისცა ჟამი სიხარულისაჟ⁹ და მიისწრათედა გულს-მოდგი-ნედ სიხარულით ქორწილისა მის [აღსრულებად]*. მას ჟამსა წარავლინნა მო-ციქულნი ყოვლისა მიმართ სოფლებისა და მიაწუა ყოველნივე საწვენელი-თურთ. აწ გებულნი აღრე მოიწინენ აღსრულებად სიხარულსა მას ქორწი-ლისასა განმზადებულნი შჯულითა მით, ვითარცა წესი არნ შარაგანდედთამ. ²⁵

ვითარცა იხილნეს მკნეთა მათ იღუმალ ტყორცებულნი იგი ისარნი ეშ-მაკისანი, რამეთუ ვითარცა-იგი იღუმალ ჩუეულბამ¹⁰ აქუს ტყორცებად წმიდათა მიმართ ქრისტესთა, ცხადადცა ქურჭელ უკეთურებისა პოვა მეფე იგი, ვითარცა სამოთხესა მას საჯედარ იყო გუელი¹¹ იგი და აცთუნა დედა-კაცი იგი პირველი, ეგრე სახედ აწ მეფე ესე უკეთური გუთუფარ იყო და მით ჰბრძავს ეკლესიათა და მსახურთა ღმრთისათა.

ხოლო მეფე იგი განლაღნა და აღჰყვა ამპარტავეანებასა, რამეთუ აზრ-ზენდა მას ეშმაკი, და აღადგინა დევნამ დიდი ეკლესიათა ზედა ღმრთისათა

ნუსხაშია: ¹ მისთაჟთა (მისთ'აჟთა). ² წ'რბთა. ³ რ'ლოთასა. ⁴ მს'ზრთა. ⁵ შუშნრ'ბსა ⁶ იხი-ლ'ა. ⁷ შუეშნი'რბამ. ⁸ დასულბ'ა. ⁹ სიხ'არლისა. ¹⁰ ჩუეულბებ'ა. ¹¹ გუშლი.

* კაეებში მოთავსებულია ჩვენი ჩანამატი.

და ინება თაყუანის-ცემად გამოხატულთა უსულოთა უნდოთა ოქროსათა¹² ცუდთა მათ ძელისა და ქვისათა¹³ და ბილწსა მას სამსახურებელსა.

ხოლო ნეტარი იგი (I) გაიანე სიწმიდით - ზრდილისა მის რიფსიმეთურთ და სხვთ მოყუსებითურთ მოიჯენა აღთქმამა იგი სიწმიდისა და წესებისა მის მსახურებისა, მღვდარე იყვნეს სიწმიდისა [თვს], გოდებდეს და ტიროდეს გამოხატვისა მისთვის მეფისა მიერ, იურვოდეს, ილოცვიდეს და ითხოვდეს, მრავალმოწყალისა ღმრთისაგან, რაათა შეეწიოს და იქსნნეს იგინი განსაცდელისა მისგან, რომელ მოწვეწულ იყო მათ ზედა. ილოცვიდეს და იტყოდეს ესრეთ:

10 „უფალო უფალთაო და ღმერთო ღმერთთაო, ღმერთო საუკუნეო, ღმერთო ცათაო, რომელი დამკვრებულ ხარ ნათელსა მაგას შინა შეუხებელსა, რომელმან განამტკიცენ ყოველნი სიტყვთა შენითა, რომელმან შეჰქმენ ცა და ქუეყანა¹⁴ და ყოველი სამკაული მათი, რომელმან შეჰქმენ კაცი მიწისაგან და გონიერად დაადგინე იგი ყოველსა ქუეყანასა ზედა, და შემწე ექმენ ყოველთა, რომელნი გესვიდეს შენ.

15 „შემეწიენ ჩუენცა, უფალო, ლუაწლსა ამას შინა, რომელი გუბრძავს ჩუენ, რაათა ვსძლოთ მტერსა მას და ზაკულებსა¹⁴ ეშმაკისასა, რაათა სახელი შენი, უფალო, იდიდოს და რქად ეკლესიისა შენისა¹⁵ ამაღლდეს, რაათა ჩუენ მყოფ ვიყვნეთ სასუფეველსა შენსა მცნებისა [შენისა] დამარხვითა.

20 და ნუ მოაკლდებიან ზეთი სანთელთა ჩუენთა¹⁶ და ნუმცა დაშრტებიან სანთელნი სარწმუნოებით აღთქმისა სიწმიდისა ჩუენისანი, და ნუმცა გუეწევის ბნელი იგი დამაბნელებელი და წარმწყმედელი განათლებულთა გზათა¹⁷ ჩუენთა, და ნუმცა გარდააქცევენ ფერკნი ჩუენნი ბრწყინვალეთაგან ალაგთა შენთა, და ნუმცა დაბრმდებიან გუგანი თუალთა ჩუენთანი ხილვისაგან მღვდარებისა და ბრწყინვალისა ქეშმარტებისა შენისა, და ნუმცა აღჰკრებს მფრინველი თესლსა მას ცხორებისასა, რომელ დასთესა ჩუენ შორის ძემან [104]

25 შენმან მხოლოდ შობილმან უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, და ნუმცა მიგვლებს მღვდარებასა წმიდისა ამის სამწყსოასა შენისასა განდგომილი იგი, და ნუმცა მიგუტაცებს კრავსა სამწყსოათ შენით აღთქმულთა ამათგან განმრყუნელი იგი [მგელი], რამეთუ ვართ სამწყსონი სამოციქულოასა ეკლესიისა წმიდისანი.

„უფალო ღმერთო ჩუენო, რომელმან მოაველინე მხოლოდ შობილი ძე შენი, რომელი მოვიდა და განაგნა ყოველნი ცის-კიდენი სულითა მეცნიერებისაგან, რაათა ყოველთა ერქუას სახელი ისრაელ, რომელი გამოითარგმანების ღმრთის-მხილველ, და ჩუენ გუემსა¹⁸, რამეთუ თქუა: დალათუ გდევნიდენ თქუენ ქალაქითი-ქალაქად, ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაელისა მოსლვადმდე ჩემდა*.

„და აწ, უფალო, მოგუხედენ ჩუენ, რომელნი გევედრებით შენ, რაათა არა შევიგინეთ უშჯულოვებითა და ბილწებითა წარმართთაგანთა. და ნუ მისცემ განსარყუნელად სიწმიდესა ჩუენსა როსკობათაებრ, რომელნი შეკებულ არიან ძაღლთაგან უგულისწმოთა; და ნუ მისცემ მარგალიტსა ამას სიქალწულისასა დატკებნად ღორთა; და ნუმცა წარგურღუნის სისასტიკება წყალთა მრავალთა¹⁹; და ნუმცა შემსულებს ჩუენ ქარი იგი ბოროლად მავალი; და

ნუსხაშია: ¹² ქვისათა. ¹³ ქყნა. ¹⁴ ზაკულებდასა. ¹⁵ შრისა. ¹⁶ ჩუენთაქმნთა. ¹⁷ გზათა.

¹⁸ გულსში. ¹⁹ ბრვლთა.

* მათე 10, 23.

ნუმცა შესძრავს საძირკუელსა წმიდისა ეკლესიისასა, რომელი მრავალთა მართალთა აღაშენეს ზედა ლოდსა მას მყარსა, რომლისა თაგ აღსრულების იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე განკაცებითა მით და სისხლთა დათხევითა მოსიკუდილითა და აღდგომითა და ამალღებითა მით ზეცად, და დაჯდომითა მით მარჯუენით ღმრთეებისა შენისა, რომელი-იგი წინავე იყო შენ თანა.

„და აწ, უფალო, მოიხილე ზეცით სიწმიდისა შენისაგან, და ნუმცა ეი-ყოფვით ვითარცა სახლი იგი, რომელი ქვშასა²⁰ ზედა დაშენებულ იყო, რომელსა ვითარცა ეცნეს ქარნი, დაემჭუა; და იყო²¹ დაცემაჲ იგი მისი დიდ. არამედ განმამტკიცენ ჩუენ ქეშმარიტებითა და სახარებითა მით მშუდობისაჲთა, და მიძლოდე ჩუენ ნებითა შენითა, და ღირს მყვენ ჩუენ ხუთთა მათ თანა ქალწულთა, რომელთანი არა დაუშრტეს სათელნი მათნი ქორწილსა მას, და ღამესა ვითარცა დღისი გჳძლოდე გამობრწყინებებასა ჩუენ ზედა პირისა შენისასა დიდებითა. დამიფარენ ჩუენ საფარველსა ფრთეთა შენთასა, რაჲთა ჩუენცა ღირს ვიქმნნეთ მიწვენად განსასუენებელსა ნებისა შენისასა. და ღირს მყვენ ჩუენ, რაჲთა შევსუათ სასუმელი სიმჳნისაჲ და რაჲთა მოვი-ლოთ გვრგვნი დღესა მას მართლისა საშჯელისა შენისასა, რაჲმს გამოსჩნდე დიდებით“.

და ამისა შემდგომად წმიდაჲ იგი გაიანე და რიფსიმე უბიწოდ-კრებუ-ლითა მით მოყუსებითურთ წარმოვიდეს ოტებულნი, რაჲთა თავნი თჳსნი წმიდად დაიმარხნენ ბილწთა მაფგან და უკეთურთა და შებღალულთა მათ-გან უშჯულოებისათა, რაჲთა უფროჲსი სასოებაჲ დასდევან ცხოვრებისა მის მიმართ საუკუნოჲსა მოწამეთა თანა, რომელნი ღირს იქმნნეს მოღებად გვრგვნი-სა, რაჲთა განერნენ განმზადებულთა მათ სატანჯველთაგან და ღირს იქმნნენ მარჯუენით მდგომარეთა მათ თანა, რომელთა[თჳს] აღთქუმულ არიან^{21ა} დაუქ-ნობელნი გვრგვნი, შემკულნი ხუთთა მათ თანა ქალწულთა [ბრძენთა], საქმითა კეთილითა განათლებულნი შეუენიერებასა მას შინა სამოთხისასა, სიძისა მის თანა სამარადისოჲსა ზოგად კრებასა მას მართალთასა, წიაღთა²² მათ აბრა-ჰამისთა, მოუკლებელთა მათ სიხარულთა, რაჲთა იყვენ ზიარ, ვითარცა-იგი უფალმან თქუა, ვითარმედ: „რომელმან დაუტეოს სამკვდრებელი თჳსი სახე-ლისა ჩემისათჳს, მერმესა მას მოსლევასა ჩემსა ცხოვრებაჲ საუკუნოჲსა დაიმკვ-დროს“²³. არა თუ საწუთროჲსა ამის სიკუდილისაგან ვივლტით, არამედ შე-გინებისაგან უშჯულოჲსა მის. და არა თუმცა ჳორციი ჩუენნი არა მივსცენით ტანჯვად, არამედ რაჲთა არა დაითრგუნოს სიწმიდე ჩუენი და რაჲთა წმი-დად და შეუგინებელად სულნი ჩუენნი განვირინნეთ უშჯულოჲსა მის და ბილწისა შემაგინებელისა კაცისაგან. ამისთჳს მივსცნეთ თავნი ჩუენნი ქირსა და ტანჯვასა, კრულებასა და სიკუდილსა სახელისათჳს უფლისა ჩუენისა, რაჲ-თა მოვილოთ სიმართლისა იგი გვრგვნი. ამისთჳს დაუტევებთ ქუეყანასა ამას, რომელსა ვიშენით, ნაყოფსა, მონაგებთა და მახლობელთა, თესლთა მათ და ტომთა სიტყუსაებრ უფლისა, რომელ ჰრქუა მოციქულთა, ვითარცა მათ მღჳძა-რეთა თანა განწესებულთა შრომითა სიმჳნისაჲთა²⁴, რაჲთა ღმერთი ვიხი-ლოთ“.

[„] მას ჟამსა წარმოჲმარონეს და მოიწინეს ქუეყანასა მას სომხითისა-სა, არარატად სოფლად, ვალენშია ქალაქად, რომელსა ჰრქვან ნოროქალაქი²⁵,

ნუსხაშია: ²⁰ ქვშასა. ^{21ა} და იყო] + და იყო. ^{21ა} არს ²² წიაღთა] სიმჳნეთა. ²³ დაიმკვდროჲს

²⁴ სიმჳნისათა. ²⁵ როროქალაქი.

* მ ა თ ე 19.27—29

საყოფელსა მას მეფეთა სომეხთასა. და შევიდეს და იყოფვოდეს სასაწინებლეთა მათ, რომელნი-იგი იყვნეს შორის ვენაჯოვანსა მას მზის აღმოსავალით²⁶ კერძო. და იზარდებოდეს სყიდით ვაჭართაგან მის ქალაქისათა. და არარაჲ აქუნდა მათ თანა, გარნა ერთი მათგანი იყო მემანე, და იქმოდა მძივსა მანისასა და ურეწვიდა მათ როქიკსა დლისასა.

II. მას ჟამსა მცირედ რაჲ ამბოხი იქმნა სოფელსა მას იონთასა, ადგილად-ადგილად მეძიებელნი წარავლინნა, ნოციქულნი თრდატ მეფისანი. და შეემთხვნეს მოციქულნი ნორქალაქსა. და ვითარცა მიუპყრეს წიგნი, მოიღეს გელთა მათთაგან სიხარულით, რომელსა წერილ იყო ესრეთ:

„უძლეველი დიოკლიტიანე კეისარი საყუარელსა ძმასა და საყდრის მოდგამსა ჩემსა თრდატს გიკითხავ!“

„უწყებულ იყავ, ძმაო, ძვრისა მისთჳს, რომელ მოვალს ჩუენ [ზედა] მარადის მაცთურისა ამის ნათესავეისა ქრისტიანეთაჲსა²⁷, რამეთუ ყოველსა ჟამსა გინებულ არს უფლებაჲ ჩუენი მათ გამო და არა თუ სიმტკიცე რაჲმე არს მათ თანა. რამეთუ იგი მომკუდარსა ვისმე ჯუარცუმულსა ჰმსახურებენ, და ძელსა თაყუანის-სცემენ და ძუალთა მკუდართასა ჰმსახურებენ. და თჳსი სიკუდილი არად შეურაცხიეს ღმრთისა მათისათჳს, არამედ დიდებად და პატივად შეურაცხიეს. და ჩუენთა ამათგან სამართალთა განშორებულ არიან, რამეთუ წინათა მათ მამათა ჩუენთა მეფეთა მოაწყინეს და მახვლი ჩუენნი დაბრყვლდეს და იგინი არა შეშინდეს სიკუდილისაგან. და შეცთომილ არიან კუალსა ჰურიასა²⁸ ერთისა ჯუარცუმულისასა და უფლებასა ამას შეურაცხყოფენ და ღმერთთა ამათ მსახურებასა არა თავს-იდებენ.

„და დიდი ნათელი მზე და მთოვარე და ბრწყინვალენი ვარსკულაენი ღმერთად არად შეურაცხიან და დაბადებულთ ხადიან და იტყუან, ვითარმედ შეუქმნიან იგინი ჯუარცუმულსა მასო. და სოფელი ყოველი მიიქციეს და მსახურებაჲ ღმერთთაჲ დააყუდნეს, ვიდრემდის ცოლნი ქმართაგან და ქმარნი ცოლთაგან ცოცხლივ განაშორნეს. დალათუ პირად-პირადი ტანჯვაჲ მათ ზედა მოვაწინეთ, უფროჲსლა განმტკიცებნიან ქრისტიანეობასა ზედა. დალათუ შიში დიდი მათ ზედა მოვაწიე, დათხევამან სისხლთა მათთამან მრავალნი მათა მიაქცინა.

„და უფროჲსად ესე გიკვრდინ, რამეთუ ქალსანილისი ჩუენი ქმულკეთილი, რომელი ზრდილ იყო მათ თანა, და მინდა მისი ცოლებაჲ, და იგიცა მი-ვე-იქციეს და წარიყვანეს. და არა შეიშინეს, რაჲთამცა აღასრულეს ნებაჲ მეფისაჲ²⁹. და თქუმულნი ჩემნი შეურაცხ-ყვნეს, არამედ უფროჲსლა აღ-თქუმისა მათისათჳს ბილწად და საძაგელად შეჰრაცხეს და დედამძუძითურთ წარიყვანეს და მიივლტოდეს უფლებასა³⁰ მაგას შენსა.

„აწ გულს-იდგინე, ძმაო ჩემო, და სადაცა იყვნენ, მოიძინენ, და მისთანანი იგი დედამძუძითურთ სიკუდილით აღასრულენ. და შუენიერი³¹ იგი და მისებრ არა ყოფილი ჩემდავე მოაწიე. უკუეთუ არა და შენდა რაჲმე სათნო გიჩნდეს ქმულკეთილობაჲ იგი მისი, შენდა საწმარ იყავენ, რამეთუ არავენი იპოვა მსგავსად ქმულკეთილობისა მისისა შორის ფრომინთა“.

III. და ვითარცა წარიკითხა ჰროვარტაკი იგი, ბრძანებაჲ მისცა მეფემან დიდითა სასტიკებითა მცნებისაჲთა³², რაჲთა ყოველთა ადგილთა უფლებისა

ნუსხაშია: ²⁶ აღმოსლვით. ²⁷ ქრისტიანეთასა. ²⁸ ჰრისასა. ²⁹ მწყისა. ³⁰ უფლებასა. ³¹ შუენიერი. ³² მცნებისთა.

მისისათა მსწრაფლ ეძიებდენ. მოციქულნი წარავლინნა ადგილად-ადგილად, რაჟთა ვითარცა პოვონ, ადრე მოაწიონ მისა, და რომელმან პოვოს, ნიქსა და პატივსა დიდსა აღუთქუმიდა.

და ვიდრე-იგი ძებნა იყო მათთჳს სოფელსა მას საზღვრითი-საზღვარად, წმიდანნი იგი მოსრულ იყვნეს და დამალულ საყოფელსა მას მეფეთასა, დამალულ მისევე მეფისაგან ვალენსეა ქალაქსა. და შემდგომად მცირედთა დღეთა იპოვნეს და გამოჩნდეს.

რამეთუ არა ეგებოდა დამალვად ქეშმარიტთა მათ მენეთა მოწამეთა³³, და არცა სანთლისა მის დადგომად ქუეშე³⁴ ჯვრისა, და არცა დაფარვად აჩრდილსა ქუეშე³⁵ გარდართულთა მათ სასაწინებლეთა შინა, არამედ ზედა ოქრომასა სასანთლეთა შემკულნი. და ოქრომასა სასანთლეთა ზეთსა სიპოხისასა და სულნელებისასა სარწმუნოებითა და სიმართლითა აღქურვილნი, ნათლითა ბრწყინვალედ გამოჩინებულნი, ვითარცა-იგი წინავე ილოცვიდეს, და ვითარცა-იგი უფალმან ჰრქუა თჳსთა მათ მოყუარეთა, რაჟთა ჰხედვიდენ საქმეთა თქუენთა კეთილთა და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა*.

**იხილეთა³⁶ აწ, რანეთუ კეთილის-მოქმედნი ქეშმარიტმან ძემან ღმრთისამან არა მრიძაგნა თანამკვდრ-ყოფად სამკვდრებელსა თჳსსა თჳსნი იგი მოყუარენი და მსახურნი? რომელ ბუნებით ძე არს, ადრე-ადრე მიიზიდნის მისა³⁷ თჳსნი იგი მცნებისა დამმარხველნი, გარნა ვიმარხავთ ხოლო მცნებათა მისთა, და ვითარცა მარგალიტნი პატიოსანნი გამოჩნდეთ, სიხარულით მივისწრაფთოთ განმზადებულსა [პატივსა] მას სამეუფოსა სასუფეველსა შინა და გამოვჩნდეთ³⁸ აქაცა პატიოსანნი ბრწყინვალედ წარმართთა ამას სოფელსა სომხეთისასა, რომელთა დიდებისა და ღმრთის-მსახურებისა წილ აღუეს[ებ]იეს სოფელი ესე კერპებითა.

და იპოვნეს იგინი სასაწინებლეთა³⁹ [მათ] შინა, შორის ვენაქოვანსა მას. რამეთუ ვითარცა მოიწია ჰროვარტაკი⁴⁰ იგი დიდისა მის კეისრისა სომხეთად თრდატ მეფისა, არა მცირედ რაჟ[მე] აღრევა⁴¹ იყო შორის სომხთა, რამეთუ სცვიდეს ყოველთა გზათა და მეზობირთა და ყოველთა ადგილთა. და იხილა ვინმე ერთმან და უთხრა მათთჳს.

და ვითარცა იპოვნეს, ორ დღე ფაროსანნი მოადგინნეს და სცვიდეს მკურცხლითა ერთთა [მით] მუნვე, სადაცა-იგი იპოვნეს. და შემდგომად სამისა დღისა ჰამბავი იგი განმრავლდებოდა, და მიესმა ყოველთა, განითქუმოდა შეუნიერებაჲ იგი და ქმნულკეთილობაჲ⁴² იგი რიფსიმესი და იძრ[ე]ოდეს ურაქპარაკნი მათნი და კაცად-კაცადისა [თანა] დაკრეება იქმნებოდა.

და ხილვასა მას კეთილისასა მიკრებოდა სიმრავლე დიდი⁴³, და მთავართა მათგანნი [იგიცა] ერთიერთსა ჰვლებოდა, და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკეთესა მისსა⁴⁴. და აზნაურნი იგი აღრეულად გლვითურთ ეტენებოდეს და დასდებდეს ერთიერთსა დასულებითა⁴⁵ სიცოფისა გონებისათა⁴⁶ შეცთომილნი [იგი] და აღმღურეულნი⁴⁷ გულის-თქ[უ]შითა ჩუეულებისა სახისა წარმართთაჲსა⁴⁸.

ნუსხაშია: ³³ მწმეთაჲ. ³⁴ ქუეშე. ³⁵ ქუეშე ³⁶ იხილეთა დ. ³⁷ მისსა დ. ³⁸ გამოვჩნდეთ დ. ³⁹ სასაწინებლეთა დ. ⁴⁰ პროვარტაკი დ. ⁴¹ აღრევა] აღძრვა დ. ⁴² ქმნილკეთილობა დ. ⁴³ დიდძალი დ. ⁴⁴ სიკეთისა მისისა დ. ⁴⁵ და სულებისა დ. ⁴⁶ გონებისათა დ. ⁴⁷ აღმღურეულ დ. ⁴⁸ წარმართასა დ.

* მათე 5,16. ** აქიდან აკლია A—511-ს, ტექსტი მოგვყავს სხვა ნუსხით, კერძოდ ქუთაისის ისტ.-ეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწერის № 193-ის მიხედვით (დ). 45—46.

ხოლო ნეტართა მათ ვითარცა იხილეს უგუნურებაჲ იგი კეთილის-მოძულეთა მათ კაცთაჲ, ცრემლ-სავსედ დამოდინებით⁴⁹ აღიპყრნეს ჯელნი მათნი ზეცად და ითხოვედეს ქსნასა ყოვლისა მპყრობელისაგან, ვითარცა წინასა მას ჟამსა განარინნა იგინი უშჯულოთა⁵⁰ მის და ბილწისა და უკეთურისაგან და შეგინებულებისაგან წარმართთაჲსა, რაჲთა მანვე სცეს ძლევამ და განამტკიცნეს⁵¹ იგინი სარწმუნოებითა, და დაცვენეს⁵² იგინი⁵³ და ისხნეს ქუეყანასა სირცხვლისათჳს უგუნურთა მათ მხილველთაჲსა და მათთჳს*

რომელნი-იგი შინაგან იყვნეს მეფისანი, რაჲთა არა იხილონ შუენიერებაჲ იგი და ქმნულკეთილობაჲ⁵⁴ და რაჲთა არა უთხრან⁵⁵ წინაშე მეფისა. და მერმესა⁵⁶ დღესა, ვითარცა განთენებოდა, ბრძანებაჲ გამოჲდა მეფისა მისგან, რაჲთა ნეტარი რიფსიმე ადრე-ადრე შეიყვანონ სამეფოდ და წმიდა გაიანე უბიწოთ⁵⁷ მოყუსებითურთ მუნვე დამარხნენ⁵⁸.

და მეყსეულად ადრე-ადრე ოქროთა შეპოსილნი გაფალაკნი მოიხუენეს მეგაფალაკეთა კართა მის სასაწინებლისათა⁵⁹, სადა-[იგი] იყოფვოდეს გარეშე ქალაქსა მას. და სამკაულნი კეთილნი და ჩჩვლნი შესამოსელად⁶⁰ მიუპყრ[ნ]ეს მას, რაჲთა სამეფოდ⁶¹ შეიმკოს, ჰაეროვნად და ბრწყინვალედ შევიდეს ქალაქად და ეგრეთ შეემთხვოს მეფესა. რამეთუ, ვიდრე არა ეხილუა, იზრახა ცოლობაჲ მისი, რამეთუ უთხრობდეს მას, ვითარმედ შუენიერ არს და ქმნულკეთილ⁶².

და ვითარცა იხილნა იგინი წმიდამან გაიანე, იწყო სიტყუად ძუძულისა მის თჳსისა და ჰრქუა: „მოიკსენე, შვილო, რამეთუ დაურევე დიდი [იგი] პატივი, შუენიერი სამკაულ[ებ]ი, ოქრო-ქსოვილები და საყოფელი იგი შენი მამული და სამკაული იგი⁶³ ძოწეული შარავანდელთაჲ, და გულმან გითქუა წარუვალისა მის ბრწყინვალისა შარავანდელთა მოცემისა ქრისტესისა, რომელ არს შემოქმედი და განმაახლებელი და მაცხოვარი და გამოუთქუმელთა კეთილთა მომცემელი თჳსთა მოსავთა. და შენ, შვილო, შეურაცხ-ჰყავ საწუთოჲ⁶⁴ იგი⁶⁵ სამკაული ძოწეული, და აწ მი-მე-სცეა სიწმიდე შენი კებნად ძაღლთა ამათ წარმართთა სოფელთა? ნუ, შვილო, ნუ იყოფინ, ვითარმცა იყო ეგრე⁶⁶, არამედ დაგვცვენეს ჩუენ შენითურთ, რომელი-იგი გვძლოდა ჩუენ სიყრმით ჩუენითგან მოდღეინდელად დღედმდე, და აწ შემეწე იყოს⁶⁷ ჩუენი⁶⁸ ჟამსა ამას.

და ვითარცა იხილა რიფსიმე ყოველი იგი ამბოხი და ესმა სიტყუაჲ იგი დედამძუძისა⁶⁹ თჳსისაჲ, შეიკურა სულითა წმიდითა და განძლიერდა უფლისა მიმართ, რამეთუ შეემოსა სრწმუნოებაჲ სიყრმით თჳსითგან. ვითარცა ახოვანი შეიკურა, ჳმა-ყო ჳმითა დიდითა და განიპყრნა ჯელნი ჯუარისა სახედ, და იწყო სიტყუად მალღითა ჳმითა და თქუა:

„უფალო ღმერთო, ყოვლისა მპყრობელო, რომელმან დაამტკიცენ დაბადებულნი ჳელითა საყუარელისა⁷⁰ ძისა შენისაჲთა და განაწესენ გამოჩინებულნი და გამოუჩინებულნი დაბადებულნი მალღითა სულისა წმიდისაჲთა. შენ ხარ, რომელმან არარაჲსაგან არსად ყოველნი დაბადებულნი გამოაჩინენ, რამეთუ შენითა

⁴⁹ დამოდინებითა (ქ). ⁵⁰ უშჯულოთა (ქ). ⁵¹ განამტკიცეს (ქ). ⁵² დაცვენეს (ჩველგან). ⁵³ იგინი (ქ) თავნი თჳსნი. ⁵⁴ ქმნილკეთილობა (ქ). ⁵⁵ უთხრან (სოქვან ქ). ⁵⁶ მერმესა (მესამესა ქ). ⁵⁷ უბიწოდ (ქ). ⁵⁸ დამარხნეთ (ქ). ⁵⁹ სასაწინებლისათა (ქ). ⁶⁰ შესამოსელად (ქ). ⁶¹ სამეფოსა (ქ). ⁶² შუენიერ და ქმნილკეთილ არს (ქ). ⁶³ შენი (ქ). ⁶⁴ საწუთო (ქ). ⁶⁵ იგი (ქ). ⁶⁶ ეგრეთ (ქ). ⁶⁷ შემეწე იყოს (ქ). ⁶⁸ ჩუენი (ქ). ⁶⁹ დედისმძუძისა (ქ). ⁷⁰ საყუარელისა (ქ).

* აქ ტექსტი შებღალული უნდა იყოს.

ბრძანებითა ყოველნი ძალნი იქმნნეს გამოჩინებულნი და გამოუჩინებელნი, რომელ არიან ცათა და ქუეყანასა, ზღუათა და კმელსა. რამეთუ შენ ხარ, უფალო, რომელმან მისცენ წყლით-რღუნასა უშჯულონი იგი და ბილწნი კაცნი, და⁷¹ იესენ⁷² საყუარელი იგი [შენი] ნოე, რომელმან დაიმარხა ბრძანებაჲ სიტყვსა შენისაჲ, განარინე იგი ჯუარის სახედ მსგავსითა მით ძელითა წყალთა მათ რღუნისაგან⁷³. რომელმან მათ ჟამთა ჯუარის სახითა ჰყავ ცნაჲ მათი, ხოლო აწცა^{73ა} ჰყავ ქეშმარიტითა მაგით ჯუარითა, რომელსა აღჰკედ და დასთხიენ სისხლნი შენნი კურნებისათჳს წყლულებათა ჩუენთასა.

„რომელმან დაიცევ აბრაჰამ შორის ნათესავსა მას უშჯულოთასა, რომელმან სირცხვლისაგან ქანანელთაჲსა, და ყუედრებასა უშვილოპისასა შეილიერ ჰყავ სარრა, მკვეალი შენი, რომელმან შეიწყალე ისაკ და დაიცევ მკვეალი შენი რებეკა უშჯულოთა მათ ფილისტიმელთაგან. ნუ განგზოვრებ [ჩუენ] კელისაგან შენისა სახელისა შენისათჳს წმიდისა, რომელმან გუასწავე და გზოძღურე, და მოგუცენ სიტყუანი შენნი პირსა ჩუენსა, რაჲთა მით განვერნეთ მახეთაგან მტერთასა, რამეთუ სთქუ: სახელი ჩემი წოდებულ არს თქუენ ზედა*, თქუენ ტაძარნი ხართ ღმრთისანი**. და სთქუ, ვითარმედ: სიწმიდენი ჩემნი გულთა თქუენთა.*** და მოგუეც სიწმიდე გონებისა ჩუენისა, რაჲთა ვ[ი]თხოვოთ შენგან, და რაჲთა სახელი შენი იყოს ჩუენ ზედა წერილითა მით თხოვად შენგან, ვითარმედ: წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი**** ჩუენ ზედა, რომელნი-ესე ვითხოვთ შენგან. აჰა მოკრებულ არიან უკეთურნი მრავალნი შებილწებად ჩუენდა, რომელნი წოდებულ ვართ ტაძრად სახელისა შენისა, დაღათუ ჩუენ უძღურ და არალირს ვართ, ხოლო შენ და-ვე-იციენ თაენი ჩუენნი არალირსთა ამათგან და ბილწთა და მიქსენ ჩუენ განსაცდელისა ამისგან.

„და მომეც ჩუენ ძღვევაჲ [ძღიერებითა შენითა, რამეთუ შენი არს ძღვევაჲ], და ვსძლოთ სახელითა შენითა, და რაჲთა დაეიცვათ სასოებაჲ შენი უბიწოებით, და შევერთნეთ რიცხუსა [ნაწილსა მას] მართალთასა და მოვილოთ სასყიდელი შრომისაჲ, რომელი მისცე და მიაგო თითოეულად მათ, რომელნი დაადგრნენ შიშსა შენსა და რომელთა დაიმარხნენ⁷⁴ ბრძანებანი შენნი.

„რომელმან განარინე ნოე წყლისა მისგან რღუნისა, განმარინენ ჩუენცა უშჯულოთა ამათგან ნალუარევთა, რომელ-ესე მოდგომილ არს და მოუცავთ. რამეთუ მკვეცი და პირუტყჳ⁷⁵ განარინე კიდობანსა მას შინა, რავდენ უფროჲს⁷⁶ არა შეგვწყალნე ქმნულნი ესე შენნი, რომელნი შენ გადიდებთ? და რომელმან ქუეწარმავალნი და მფრინველნი დაიფარენ კიდობანსა მას შინა, რავდენ არა უფროჲს შეგვწყალნე [ჩუენ], რომელთა-ესე გვწოდე ტაძრად ნებისა შენისა?“.

III. და ვითარცა იყო ესე, კრება და ამბოხი განმრავლდებოდა, სიმრავლე იგი მსახურთა მეფისათაჲ, რომელნი მოსრულ იყვნეს წარყვანებად მისა⁷⁷ სამეფოდ, მთაყარნი იგი და დიდ-დიდები⁷⁸ მოხუცებულთა მათ, რომელნი მოსრულ იყვნეს პატივის-ყოფად მისა, რაჲთა მის თანა შევიდენ სამეფოდ, და⁷⁹ მოჰგუარონ იგი [ცოლად] მეფესა და დედოფალად სომხითისა.

⁷¹ და|ქიმიერეე Q. ⁷² დაიხსენ Q. ⁷³ რღუნისათა Q. ^{73ა} აწ. Q. ⁷⁴ დაიმარხნენ Q. ⁷⁵ ნკვე-
ცნი და პირუტყუნი Q. ⁷⁶ უფროს Q. ⁷⁷ მისსა Q. ⁷⁸ დიდ-დიდნი Q. ⁷⁹ და|+რაჲთა Q.
* ს ა ქ მ ე მ ო ც ი ქ. 15.17. ** I კ ო რ ი ნ თ. 3,16: ი,19. *** I კ ე ტ რ ე 3.15. **** მ ა -
თ ე 6.9-10; ლ უ კ ა 11,2.

ხოლო იგინი ცრემლითა და ჯორჯასესედ საწყალობელად ტიროდეს, და
 კელნი აღებურნეს ზეცად და ითხოვდეს ნების-მყოფელისაგან ღმრთისა, რაათა-
 განბარინნეს იგინი უმჯულოადა და არალირისისა და ბილწისა მის ქორწილისა-
 გან. აღეტეხა⁵⁰ და ტიროდეს, ჯმობდეს მალლითა ჯმითა და იტყოდეს: „ნუ
 იყოფინ ჩუენდა, ვითარმცა⁵¹ შეგუატუნნა ჩუენ სიმდიდრემან ანუ ფუფუ-
 ნებამან, ანუ შეტყუვილმან მეფისამან, დალათუ გუდევნეთ⁵² ჩუენ, ანუ გუ-
 ტანჯნეთ ჩუენ და მგუემნეთ; დალათუ რადენცა გუტანჯნეთ, არა მეშინის
 ჩუენ სიკუდილისაგან, რომელ მოწვენად არს ჩუენ ზედა. ნუ იყოფინ ჩუენდა,
 ვითარმცა ვასწორეთ წარმავ⁵³ [105]ალი ესე ცხორებაჲ საუკუნესა მას ცხორე-
 ბასა...“*, რომლისა უფლებაჲ მისი არსებისა მისისაგან დამტკიცებულ არს
 და შუცვალბელ, სადა-იგი მოუკლებელნი კეთილნი არიან. არამედ არცა-
 სიღრმეთა, არცა სიმაღლეთა. არცა ქირმან, არცა ურვამან, არცა კრულე-
 ბათა, არცა ტანჯვათა, არცა ცეცხლმან, არცა მახულმან, არცა განცხრომათა,
 არცა შეტყუვილმან სიმდიდრისამან, არცა უპოვარებამან⁵⁴, არცა ამან სოფელ-
 მან, არცა ცხორებამან, არცა სიკუდილმან ვერ განგუაყენნეს ჩუენ სიყუარულსა
 მას ქრისტესსა***. რამეთუ ძისა⁵⁵ მიმართ შეწირულ არს ქალწულებაჲ
 ჩუენი, და მისა მიმართ აღთქუმულ არს სიწმიდე ჩუენი, რამეთუ მას მოვე-
 ლით და სიყუარულსა მისსა ვესაეთ, ვიდრემდის წარვდგეთ წინაშე მისა⁵⁶
 მადიდებელნი და მაქებელნი ურცხუნელად კდემულნი“⁵⁵.

და იყო მეყსეულად ქუხილი სასტიკი ზეცით მოუგონებელი, და შე-
 ძრწუნდა ყოველი სიმრავლე ერისაჲ. და ჯმა⁵⁶ იყო მათა და ჰრქუა: „განძლი-
 ერდით და მტკიცე იყვენით და მჯნე იყვენით, რამეთუ მე თქუენ თანა ვარ,
 რომელმან დაგიცვენ თქუენ ყოველთა მათ გზათა. და მოგიყვანენ თქუენ და-
 მარხულნი უბიწოდ და მოგაწიენ თქუენ ადგილსა მათსა, რაათა აქაცა იდი-
 დოს სახელი ჩემი შორის წარმართთა. უფროადა შენ, რიფსიმე, მსგავსად
 სახელისა შენისა გარდა იცვალე⁵⁷ შენ გაიანეთურთ და ყოველით საყუარ-
 ლითურთ სიკუდილისაგან ცხორებად. აწ ნუ გეშინინ, არამედ მოვედით თქუენ
 ადგილსა ამას, რომელი-ესე მე და მამამან⁵⁸ ჩემმან განვიმზადეთ თქუენ,
 შენ და მოდგამთა შენთა, სიხარულნი ესე გამოუთქ[უ]მელნი“.

და ქუხდა ეგრეთ ეამ ერთ ოდენ და დაინაბა⁵⁹ შიშისა მისგან ყოველი
 იგი სიმრავლე და მრავალნი აღტყდეს⁶⁰, აღმწვდრდეს და დაპტრთხეს საჭე-
 დარნი მათნი შიშისაგან და მრავალნი გარდამოსთხინნეს ქუეყანად თავდა-
 მოქცევით, და მრავალნი დათრგუ[ნ]ნეს ტერფითა, და შიშითა მით და ამ-
 ბოხითა შეიმუსრნეს და ურთიერთას დასტკებნიდეს, და მრავალნი მოსწყდეს.
 ჯმაჲ ლაღადებისაჲ⁶¹ და ჯვობისაჲ⁶² მოუგონებელი იქმნებოდა მათ შორის. და
 მრავალნი მოწყდეს, და სისხლითა მით მოირწყო ქუეყანაჲ იგი. და იყენეს
 ვინმე სიმრავლესა მას შინა და ამბოხსა მსახურნი მეფისანი, მოვიდეს მეფისა
 და მიუთხრნეს ყოველნი იგი სიტყუანი მათნი, რამეთუ იყენეს იგინი სიმიამთ
 მწერალნი, და დაწერნეს ყოველნი იგი სიტყუანი მათნი და წარუკითხნეს
 წინაშე მეფისა.

⁵⁰ აღატყდეს Q. ⁵¹ ვითარმცა] და ვა Q. ⁵² გუდევნიდეთ Q. ⁵³ უპოვარებამან.
⁵⁴ მისსა. ⁵⁵ კდემულნი] კრებულნი (ყველგან). ⁵⁶ ჯმა. ⁵⁷ რიფსიმე ითარგმნება „გარდა-
 ცვალბად“ ქართულში, ხოლო *ῥιψιμο*, ე. ი. „განგდებულად“ სომხურშია. ⁵⁸ მამამან.
⁵⁹ დაენებდა. ⁶⁰ ატყდეს. ⁶¹ ლღადებისა. ⁶² ჯვობისა.
 * აქამდის აკლია A—511-ს. ** აქ ტექსტს უნდა აკლდეს, როგორც სომხური დედანი
 გვანიწებებს. *** შდრ. რ. მ. 8,38-39.

და თქუა მეფემან: „ამისთჳს რამეთუ არა ინება⁹³ პატივით მოსლვაჲ, მძლავრ მოიყვანეთ იგი სამეფუოდ და შეიყვანეთ სენაკსა სასუენებელისასა⁹⁴.

და მოჰყვანდა რიფსიმე მტარვალთა მათ მძლავრ თრევით, და იგი ლაღდებდა და იტყოდა: „უფალო იესუ ქრისტე, შემიწყალე მე“. და ყოველი იგი ამბოხი შეუდგა მათ, და იძრვოდა [ადგილი] იგი სიმრავლისა მისგან. და მიაწიეს⁹⁵ იგი ტაძრად მეფისა და შეიყვანეს იგი სენაკსა მას. ილოცვიდა იგი უფლისა მიმართ და თქუა:

„უფალო ძალთაო, შენ ხარ ღმერთი კეშმარიტი. შენ ხარ, რომელმან განაპე ზღუჲა და წიალ იყვანე ერი შენი. შენ ხარ, რომელმან განაპე კლდე იგი უღალი და გამოადინე წყალი, და ასუ ერსა მას წყურთიელსა. შენ ხარ, რომელმან შთაიყვანე მონაჲ შენი იონა უფსკრულთა სიღრმისათა, და გულისგმა⁹⁶-წყაჲ მას ძლიერებაჲ შენი, და განაშორე იგი კაცთა ბუნებისაგან, და მერმე მოაქციე აქავე განურყუნელი ცოცხლითა გუამითა ცხოვნებად, რამეთუ თმაჲ ერთიცა თავისა მისისაჲ⁹⁷ არა წარწყმდა. შენ [ხარ], რომელმან განარინე დანიელ: რომელი-იგი მისცეს შესაქმელად მკეცთა და დაიცევ იგი მღვმესა მას შინა, შენ ხარ, რომელმან განარინე სამნი. იგი ყრმანი ცეცხლისა მისგან, რამეთუ შენ გხადოდეს. და ცოცხალნი და უბიწონი დაიცვენ იგინი, და გაქებდეს შენ, რომელთა იხილეს საკვრველებაჲ იგი. შენ ხარ, რომელმან მძოვარ ჰქმენ ფიცხელი იგი და უშჯულოჲ მეფე ბაბილონელთაჲ, რამეთუ არა გიცნა შენ, რაჲთამცა გადიდებდა შენ და საკვრველებათა შენთა, რომელ უჩუენენ⁹⁸ მას, გარდასცვალე იგი ხატად პირუტყუთა, და მკეცთა თანა უდაბნოჲსათა ჰყაჲ მკვდრობაჲ მისი, და კანჯართა თანა უდაბნოჲსათა ძოვდა*. შენ ხარ, რომელმან განარინე სუსანა, მკევალი შენი, ორთა მათგან ცრუთა მოწამეთა, და ბოროტითა სიკუდილითა მოსრენ მტერნი იგი მისნი და გვრგვნი სიქადულისა და სიმართლისა მოსაესა მას შენსა მიჰმადლეთ. შენ იგივე ხარ და წელიწადთა შენთა არა მოაკლდეს**. შენ, უფალო, დიდებაჲ შენი სხუასა არა მისცე***. შენ ხარ, რომელი დიდებულ ხარ ყოველთა ზედა ცის-ქიდეთა****, რაჲთა არა [არ] შეაგინონ სახელი შენი წარმართთა ამათ, რამეთუ შენ შემძლებელ ხარ ჯნად ჩემდა სიბილწისა ამისგან, აღვესრულო სიწმიდით და მოვეუდეთ სახელისა შენისათჳს“.

IV. და ვიღრე წმიდაჲ იგი რიფსიმე ყოველსა ლოცვისა ღმრთისა მიმართ შესწირვიდა, შევიდა მეფე თრდატ სენაკსა მას, სადა-იგი შეეყენა. და ვითარცა შევიდა შინა, ყოველი იგი სიმრავლე ერისა, რომელნიმე გარეშე ტაძართა მათ, რომელნიმე ფოლოცთა მათ, ერთბამად აღელო სახიობელი, ზალლითა ჯმითა ჯმობდეს, ტყუელვიდეს⁹⁹ და როკვიდეს. და მოაქუნდა საწევნელი ქორწილისა მის და გულს-მოდგინედ პარსა მას იტყოდეს. და უფალმან მოჰხედნა თჳსსა მას საყუარელსა რიფსიმეს, რაჲთა განარინოს იგი წარწყმედისაგან, შჯულის მმარხველი¹⁰⁰ იგი და განკრძალული; და ისმინა ლოცვისა მისისა, და განაძლიერა იგი ვითარცა [იაიელ]¹⁰¹ და დებორა, და მისცა მას ძალი, რაჲთა განერეს ფიცხლისა მის და უშჯულოჲსა მძლავრისაგან.

ნუსხაშია: ⁹³ ინება. ⁹⁴ სასუენებელისასა. ⁹⁵ მიიწიეს. ⁹⁶ გულისგმა. ⁹⁷ მისისა. ⁹⁸ უჩუენენ. ⁹⁹ ტყუელვიდეს. ¹⁰⁰ მამრხველი. ¹⁰¹ ამ სიტყვისათვის ადგილია გაშვებული.

* შდრ. დან. 5,21. ** ფსალმ. 101,28. *** შდრ. ესაია 42,8; 48,11 **** დან. 3,45.

და ვითარცა შევიდა მეფე იგი, შებმა¹⁰²-უყო, რაათამცა აღასრულა ნება გულის-თქუმისა თვისისა¹⁰³. ხოლო იგი განძლიერდა სულითა წმიდითა და ვითარცა მამაკაცი¹⁰⁴ ჰბრძოდა. და სამ ჭმითგან ვიდრე მეთედ ქამამდე იბრძოდეს, და იძლია მეფე იგი, რომელი მოუგონებელ იყო ძალითა, რამეთუ

5 ვიდრე-იგი იყო სოფელსა ამას იონთასა, მრავალი ძლევაჲ ეყო მას, და დაკარგებულ იყვნეს ყოველნი მისთვის. და შეიბნა¹⁰⁵ შარავანდედნი და თვისსა მას მამულსა სამკვდრებელსა მოიწია, და მრავალი საქმე სინჯისა¹⁰⁶ ექმნა, რომელ-იგი ესრეთ განთქ[უ]მულ იყო, აწ ქალწულისა ერთისაგან იძლია, ვითარცა უსუსური და არარაჲ ნებითა მით და ძალითა ქრისტესითა.

10 ვითარცა იძლია და დაშურა და დაჯსნდა, გამოვიდა გარე, და უბრძანა ნოყვანებაჲ ნეტარისა მის გაიანესი, და დადებად საჯივი ქედსა მისსა. და ეგრეთ მოიყვანეს იგი და მიადგინეს კარსა მის სენაკისასა. და უბრძანა სიტყუანი მტარვალთა მათ, რაათა აწუეედენ შეტყუილსა მას გაიანეს¹⁰⁷, რაათა ეტყოდის კარით შემართ რიფსიმეს, ვითარმედ ყავ ნებაჲ მეფისაჲ და ცხონდი

15 შენცა და ჩუენცა.

ხოლო მან თავს-იღვა სიტყუაჲ იგი ძუძეულისა მიმართ თვისისა, და მიღვა და ეტყოდა შემართ¹⁰⁸: „შვილო, დაგიცევინ შენ ქრისტემან შეგიინებისა მაგისგან და იყავნ შენდა ძალ. ნუ იყოფინ შენდა, ვითარმცა გამოჰქედ შენ სამკვდრებელისა მისგან ცხორებისა ღმრთისაჲსა, და ვითარ შენ¹⁰⁹ და-

20 ემკვდრე წარმავალსა ამას, რომელ არსვე არარაჲ, რომელი დღეს არს და ხუალე წარცდეს“.

და ვითარ გულისწამა-ყვეს¹¹⁰, ვითარმედ უფროჲსლა განაკრძალებს, მოიღეს ქვაჲ და სცემდეს პირსა მისსა, ვიდრემდე შთაყარნეს კბილნი მისნი, და აწუეედეს მას, რაათა ეტყოდის შემართ¹¹¹ ყოფად ნებისა მის მეფისა.

25 ხოლო იგი უფროჲსლა და უმეტეს განაკრძალებდა და ეტყოდა: მგნე იყავ და მტკიცედ დეგ. აჰა ესერა აწიხილო ქრისტე, რომლისათვისცა გსუროდა. მოიჯსენე, შვილო, სულიერი იგი ზრდაჲ, რომლითა განგზარდე შენ. მოიჯსენე¹¹², შენ, სწავლაჲ იგი საღმრთოჲთ კერძოჲ... მოიჯსენენ დევნანი იგი შენნი და ჩემნი. მოიჯსენე¹¹² სასუმელი იგი სიკუდილისაჲ, რომელი შესუმად

30 არს ერთად შენდა და ჩემდა. მოიჯსენე¹¹² აღდგომაჲ, რომელ ყოფად არს ყოველთა კაცთაჲ. მოიჯსენე¹¹² დიდი საშჯელი შეტყუებისაჲ¹¹³, მოიჯსენე¹¹³ ცეცხლი იგი საუკუნოჲ და გეჰენიაჲ სატანჯველი. მოიჯსენენ^{113,114} განურყუნელნი იგი ნიქნი მართალთანი, რომელი-იგი ჩუენდაცა განმზადებულ არს. მოიჯსენე¹¹² ზეციით გარდამო უფლისა იგი ჯმაჲ, რომელი შენ თვთ გესმა¹¹⁴ ყურთა

35 შენთა, და განგაძლიერა და ნუგეშინის-გცა შენ, და განმძლიერნა ჩუენ შენითურთ, მანვე ღირს მყვენინ ჩუენ გვრგვანსა და განსასუენებელსა მას, რომელი-იგი აღგვთქუა; და განგაძლიერენ შენ და ჩუენცა, რაათა ვიყენეთ თანამკვდრ ღმრთისა ნათელ-გარდართულთა მათ საუკუნეთა საყოფელთა.

ხოლო უფალმან ჩუენმან მეუფემან¹¹⁵ და ღმერთმან, რომელი-იგი ჩუენ-
 40 თვს დამდაბლდა და იგინა, არა დაგუთხინეს ჩუენ და არცა შეურაცხ-გუყვნეს, რამეთუ ძლიერებათა მისთა ვესავეთ, მესნელი იგი სოფლისა შეგუეწიოს ჩუენ, რომელმან-იგი არა დაგუთხინნა ჩუენ, რომელნი-ესე ვესევედით მას, და

ნუსხაში: 102 შებმა. 103 თვისისა. 104 მმჯკცი. 105 შეიშინა. 106 სიმჯსინსა. 107 გაიანესა. 108 შემართ] და შეღმართ. 109 ვითარ შენ] ვითარ მან. 110 გლრისქა-ყვეს. 111 შეღმართ. 112 მოიჯსენე. 113 შეტყუებისაჲ. 113ა მოიჯსენენ. 114 გესმე. 115 მწქმნ.

* აქ ერთი წინადადება აკლია თანახმად სომხური ტექსტისა.

ღირს მყენა ჩუენ თუსითა სიტყუთა ნუგეშინის-ცემასა. რამეთუ შეურაცხთა თავის-მყოფელ იგი არს, და მან დაგვცვნეს მკვეალნი ესე თუსნი ყოვლისაგან ცოდვისა, ვითარცა დღესვე ესე ჟუესმა¹¹⁶, და ყოვლისა შემძლებელმან მარჯუენემან მისმან დაგვცვნეს ჩუენ მიუკუნისამდე, გარნა სიყუარულსამცა მისსა ნუ განუემორებით. არამედ განაღძენ ძალი მისი და [106] მოვედინ მაცხოვრად ჩუენდა*, და ჩუენ სახელსა უფლისასა ვხადოდით, გამოაჩინენ პირი მისი ჩუენ ზედა და ვცხონდეთ, რამეთუ იგი არს ღმერთი მკსნელი ჩუენი და მისთჳს დაუთმეთ მოაქამდე**.

„მოიკსენე¹¹⁷ შენ უფალი იგი, რომელი ჩუენისა ცხორებისათჳს დამდაბლდა, და ღასთხინა სისხლნი მისნი და კსნისა ჩუენისათჳს სიკუდილად მიეცა. დაიდევ იგი გონებასა შენსა და ჰხადოდე მას გულითა შენითა. აჰა მოწვეულ არს შემწედ შენდა, და განაძლიერენ მკლავი შენი, ვითარცა სიყრმესა დავითისი ზედა დათუთა მათ და ლომთა, რომელმან ვითარცა თიკანნი თხათანი განხეთქნის. და რომელმან მძლავრი იგი გმირი შემუსრა კელითა მონისა თუსისა დავითისითა, შემუსრენ უკეთურებაჲ უშჯულოდსა მაგის წინაშე შენსა.

„ჰ ასულო წინაწარმეტყუელებისაო, სარწმუნოებისა მისგან წინაწარმეტყუელებისა სარწმუნოდსა მის დავითისა, და აღიზარდე სიმართლით ზედა ბუქლთა ჩემთა, წინაშე წმიდასა და დიდებულსა საკურთხეველსა ღმრთისასა აღიზარდე, შენ, მკვეალი ეგე ქრისტესი, რომელ-იგი დღეს გამოგუეცხადა ჩუენ ნოწყალებითა და კაცთ-მოყუარებითა თუსითა, რომელთა-ესე ვონიერებით ძოვიძიეთ იგი, მანვე მოგუეცინ შენ და ჩუენცა, რაჲთა ურცხველად ვიხილოთ იგი პირისპირ“.

და ვიდრე წმიდაჲ იგი გაიანე ეტყოდა სიტყუათა ამათ ებრაელებრ ძუძუელსა მას თუსსა კართა მათ სენაკისათა შემართ, და მეფე იგი ჰბრძოდა წმიდასა მას რიფსინეჲ, იყვნეს ვინმე მუნ მტარვალთაგანნი მეფისანი, რომელთა ესმოდა ყოველი იგი სიტყუაჲ ებრაელებრი.

და ვითარცა ესმა¹¹⁸ ყოველი იგი, რასა¹¹⁹ ეტყოდა გაიანე ძუძუელსა მას თუსსა, გან-რაჲ-იყვანეს იგი კართა მათგან და მრავალი გუემაჲ დასდევს მის ზედა, და დაუნაყეს ქვითა პირი მისი, და შთაჰყარნეს კბილნი მისნი. ხოლო მან არავე აქცია სიტყუაჲ თუსი სხუად ძუძუელისა მიმართ თუსისა, არამედ მათვე სიტყუათა ეტყოდა, რომელთა-იგი ეწყო პირველად, და მათვე განამრავლებდა.

ხოლო მეფემან იწყოვე სიტყუად რიფსიმეს მიმართ მეათით ჟამითგან მის დღისაჲთ ვიდრე საჭუმილად ერთად ღამისა. ხოლო მან მოაშრო მეფე იგი. და განძლიერდა¹²⁰ სულითა წმიდითა ქალი იგი, მოაშრო¹²¹ და დასცა, დაამკუა და მოაუძღურა მეფე, დაქსნილი დაამკუა იგი, განძარცული სამკაულთა მათგან სამეუფოთა. სამოსელი მისი დააპო და ნიში შარავანდედისა მის მოსტქდა და განიზნია, და სირცხვლითა სავსე დაუტევა. დაღათუ თუსი იგი სამოსელი დაპატრული გამოაქუნდა გარე, არამედ მძლედე დაცევა თავი თუსი სიწმიდით.

განახუნა კარნი მის სენაკისანი და გამოცნდა მძლავრ, განაპო კრებული იგი, და ვერვიენ შემძლებელ იქმნა შეპყრობად მისა. და სრბით განვიდოდა

ნუსხაშია: ¹¹⁶ გუღსმ². ¹¹⁷ მოიხსენე. ¹¹⁸ ესმ². ¹¹⁹ რაჲსა. ¹²⁰ განაძლიერდა. ¹²¹ მოაშრო.

* შდრ. ფსალმ. 79,34. ** ფსალმ. 24,15. შდრ. I მც. 17,36; მსაჯ. 14,6.

ფოლოცთა მათ ქალაქისათა; განვიდა და მივიდა სასაწინებლეთა მათ, სადა-
იგი იყო პირველად სავანე მისი, და სიტყუაჲ სახარებისაჲ¹²² მთართუა მო-
ყუასთა მათ, და იგი წარვიდა განშორებულად ქალაქისა მისგან ჩრდილოდ
ქერძო, ადგილსა მზუარესა, ბორცუსა ერთსა მალალსა, ადგილსა ქვშოვანსა,
3 გზასა სამეუფოსა, რომელ-იგი მივიდოდა არტაშა ქალაქად.

ვითარცა მიიწია ადგილსა მას, მუჯლნი შეიდრიკნა, იწყო ლოცვად და
თქუა: „უფალო, ყოვლისა მპყრობელო, ვინმე შემძლებელ არს მიგებად შენდა
კეთილთა მათ წილ, რომელ-ესე შენგან მოგუემადლა¹²³, რამეთუ დაიცევ
სასოებაჲ ჩუენი¹²⁴ მტკიცედ, რომელ შენდა მიმართ იყო, და განმარინენ ჩუენ
10 ბილწთა მათგან შუათა მტეცისა განმრყუნელისათა. და რაჲმე უძლოთ მიგე-
ბად შენდა კეთილთა მათ შენათაჲს? არამედ თავნი ჩუენნი იყვენდ ნაცვალად
ქსნისა მის, რამეთუ ღირს მყვენ ჩუენ ცნობად სახელისა შენისა, რომლითა
განმარინენ ჩუენ, რაჲმეთუ შენსა გარეშე, უფალო, სხუაჲ არავინ ვიცით და
სახელსა შენსა სახელ-ვსდებთ მარადლე*.

15 „ხოლო ჩუენდა უმჯობეს არს სიკუდილი სიწმიდით, ვიდრე არა გან-
თუ-ვიპყრნეთ ჳელნი ჩუენნი ღმერთთა მიმართ უცხოთა, რომელნი არიანვე
არარაჲ, და უჩინო არიან ყოველნი სამსახურებელნი წარმართთანი, რამეთუ
შენ ხარ შემოქმედი ყოვლისა, რომელმან ძისა შენისა გამო მხოლოდ შობი-
ლისა შექმენ ყოველივე, და მისა გარეშე არარაჲ იქმნა და სული შენი სა-
20 ხიერი მიძლოდენ ჩუენ ქუეყანასა წრფელსა, რომელმან მიგუყვანნეს ჩუენ კე-
თილთა მათ საუკუნეთა სასუფეველისათა**.

„რამეთუ წარდგომად ვართ წინაშე მის[ქ]ოლოდ შობილისა ძისა შენისა,
რაჲთა ურცხვნელად დავდგეთ მარჯუენეთა წათ თანა, რაჲმს მოვიდეს დიდე-
ბით ჰაეროვნებითა ნათლისაჲთა მოხედვად ყოველთა დამკვდრებულთა სოფ-
25 ლისათა.*** რამეთუ მან დაჰბადნა მხოლოდ გულნი კაცთანი და გულისწმა-
უყვენს¹²⁵ საქმენი მათნი. რამეთუ ჩუენ ერნი შენნი ვართ და ცხოვარნი სა-
მწყსოვასა¹²⁶ შენისანი, რაჲთა შევიდეთ ჩუენცა საყოფელთა შენთა, რომელ აღუ-
თქუ მოყუარეთა შენთა.**** ვისწრაფით, უფალო, განსლვად ქორცთა ამათგან,
რაჲთა შევერთნეთ რიცხუსა მას მხოლოდ შობილისა ძისა შენისა საყუარელი-
30 სასა და რიცხუსთა მათ თანა, რომელთა შეიყუარეს დღე იგი გამოჩინებისა მოსლ-
ვიასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. გარნა სიბილწისა ამისგან ხოლო გან-
გუარინენ, არამედ მოვედინ ჩუენ ზედა ტანჯვანი სახელისა შენისათჲს, რამეთუ
ჩუენ განმზადებულ ვართ. და შენ არა დაგუთხინენ ჩუენ, რამეთუ შენ, უფალო,
თუ მოწამე ხარ ჩემდა, რამეთუ ცხორებაჲ ესე ქუეყანისაჲ არა მწადოდა სიყრ-
35 მით ჩემითგან, რამეთუ მივხედე და მრწმენა სიტყუსა მის შენისაჲ¹²⁷ რომელ
სთქუ: ვაჲ იყოს თქუენდა, რაჲმს კეთილსა გეტყოდიან კაცი*****. ხოლო
ნეტარ იყოს თქუენდა, რაჲმს გუუედრდიდენ¹²⁸ თქუენ და თქუან ყოველი სი-
ტყუაჲ ბოროტი სიკრუევით თქუენთჲს სახელისა ჩემისათჲს, გიხაროდენ და
მნირულ იყვენით*****.

ნუსხაშია: 122 სახარებისა. 123 მოგუემადლა. 124 ჩუენი ჩემი. 125 გ'ლისკ'ჲ უყვენს.
126 სამწყსოსა. 127 შ'ისა. 128 გუუედრდიდენ.

* ე ს ა ი ა 26,13, ** ე ს ა ლ მ. 142,10. *** ე ს ა ლ მ. 32,14. **** შდრ. ე ს ა ლ მ. 78.13.

***** ლ უ კ ა 6,26. ***** მ ა თ ე 5,11—12.

ნანდვლვე გზარის და მხიარულ ვართ ამას ლუაწლსა შინა, რომელ-ესე მოიწია ჩუენ ზედა სიყუარულითა შენითა, რამეთუ სძლო ძლიერებამან¹²⁹ შენ-
მან და გუეცა¹³⁰ ჩუენ ძლევაჲ. მხიარულ ვართ მისთჳს და დღეთა ამათ წილ,
რომელთა დამამდაბლენ ჩუენ, და წელთა მათ, რომელთა ვიხილეთ ჩუენ
ჭირი. მოგუხედე, უფალო, უფალო, სანკვდრებელსა შენსა და ქმნულთა ჳელთა
შენთასა, და მიმიძელუ ჩუენ ზეცისა¹³¹ მას ქალაქსა შენსა იერუსალმისა¹³²,
სადა-იგი შეკრებად არიან ყოველნი მართალნი და წმიდანი, საყუარელნი
შენნი. იყავნ ნათელი უფლისა ღმრთისა ჩუენისა ჩუენ ზედა“.

V. და ვიდრე ნეტარი იგი წმიდაჲ რიფსიძე იტყოდა ამას ყოველსავე,
ღამე იგი დგალა. მივიდეს და მიიწინეს აღრე-აღრე ადგილსა მას მთავარნი
იგი მეფისანი და ნიორაკთ-მოდღუარნი იგი მტარვალთურთ, და ლამპარნი
აღნთებულნი წინაჲშე მათსა. და შეიპყრეს იგი აღრე-აღრე, და შეკრეს იგი
მართლ უკუნ, და მოსთხოვდეს¹³³, რადთამცა მოჰყუეთნეს ენაჲ მისი. ხოლო
მან ნეფსით თჳსით აღაღო პირი და განმოუპყრა ენაჲ, და მოჰყუეთეს.

და განძარცუეს მისგან აღრე სამოსელი იგი დაპატრული, რომელი
ემოსა, და დაასვენეს ოთხნი მანანი ქუეყანასა, ორნი ფერჭთა და ორნი ჳელთა,
და დასხირპეს იგი მაგრიად, და მიუპყრობდეს იგინი ლამპართა მათ, და
მოსწუნეს ჳორცნი მისნი ცეცხლითა მით ლამპართაჲთა¹³⁴. და ჳებითა სცემდეს
და დახეთქეს უბე მისი, და გარდაუდვეს ნაწლევნი მისნი. და ვიდრე სული-
ერლა იყო, აღმოჰჳადნეს თუალნი მისნი. და ასოდ-ასოდ განაგებდეს და
იტყოდეს, ვითარმედ: ყოველთა რომელთა იკადრონ შეურაცხ-ყოფად და გი-
ნებად ბრძანებასა მეფისასა, მსგავსად ამისა წარწყმედელ.

ხოლო იყვნეს წმიდანი მამანი და დედანი, რომელნი მოსრულ იყვნეს მის
თანა, სამეოცდაათ კაც. ხოლო ნაჲ ჳამსა, რომელსა მიიწინეს მათგანნი ად-
გილსა მას, რომელნი ეძიებდეს ჳორცთა შისთა დაფლვად, რომელთა ზედა
აღიღეს მახვლი და მოსწყვდნეს, იყვნეს რიცხვთ ოცდაათორმეტნი, რომელნი
იტყოდეს ესრეთ: „შეგყუაროთ შენ, უფალო, რამეთუ ისმინე ლოცვისა ჩუე-
ნისა და მოყავ ყური შენი ქველის მოქმედი. და ჩუენ შენდა მიძართ ლალად-
ყავთ, რამეთუ შენ უფალი დიდებულ ხარ, რომელმან ღირს ყავ ჩუენი უღირ-
სებაჲ შენითა ქველის მოქმედებითა, კაცთ მოყუარეო, რომელმან დაგვცვენ
ვითარცა გუგა თუალისა და საფარველსა ქუეშე ფრთეთა შენთასა განვერე-
ნით სიმრავლისა მისგან უშუულოებისა, რამეთუ აჰა მოგყუდებით სახელისა
შენისა დიდისათჳს“. ესრეთ იტყოდეს და ყოველნი ერთბაჲად აღესრულნეს.

ხოლო ერთი ვინმე მოკლეს მუნევე სასაწინებლეთა მათ შინა, სადა-იგი
იყო სავანე მათი, რომელი-იგი იტყოდა ესრეთ ჳანსა მას აღსრულებისასა:
„გმადლობ შენ, უფალო კაცთ-მოყუარეო, რამეთუ მეცა არა უგულებელს
მყავ. მე სნეულ ვიყავ და ვერ მივეწიფე მოყუასთა მათ ჩემთა, ხოლო შენ,
კაცთ-მოყუარეო და ქველის¹³⁵ მოქმედო, შეიწყალე და შეჰრთე სული ჩემი
გუნდსა მას წმიდათა მოწამეთასა, მოყუასთა მათ და დათა ჩემთა თანა და
მგველისა მის შენისა, დედისა ჩუენისა გაიანეს თანა, რომელი-იგი არს თავ
ჩუენდა და მოყუარისა მის შენისა შვილისა ჩუენისა რიფსიძეს თანა. და იგი
ესრე სახედ იტყოდა და [აღესრულა]. განითრინეს და განსთხინეს იგინი გარე,

ნუსხაშია: 129 ძლ'რებამ'ნ. 130 გუშცა. 131 ზ'ცისა. 132 ი'შმსა. 133 მოჰსთხოვდეს.

134 ლამპარ'თათა. 135 ქუშლის.

*) * შდრ. ფსალმ. 89,15-16.

რამათა იყენენ საქმელად ძალთა მის ქალაქისა^[107]თა და მფრინველთა ცისათა¹³⁶.

VI. ხოლო მეფესა მას დაეტევა თვისი იგი სირცხული, რომელი-იგი ეგვიპტისართა სიმკნითა განთქმულ იყო ლუაწლსა შინა მბრძოლისა და მწდომთა გმირებრ აჩუნენა ძალი. და მრავალი სიმძლავრე ყო, და არა მცირედ რაჲ განწყობილნი იოტნა წიად ეფფრატსა სარკინოზთა კერძო, დაწყულული საწედრითურთ გამოვიდა იგი ლუაწლისაგან. და მან აღიღო საწედარი იგი ცხენისა ქურითურთ, და იგი თავადი ქურვილ იყო მშულდ-გაპარქითურთ, და დაიკრა ზედა ბეჭთა თვსთა და ცურვით წიად ჯდა ეფფრატსა. აწ, რომელი-იგი ესრეთ ძლიერ იყო ძალითა და მძლვე, ქალისა ერთისაგან იძლია ნებითა ღმრთისაგან. და ესე არა სირცხულ უჩნდა გონებასა თვსსა, არამედ ხილვასა მას და სიყუარულსა დატფობილ იყო, და მწუხარე იყო სიკუდილისათვს მის ქალისა, ტიროდა და იგლოვდა და ჰრქუა:

„იხილეთ-ლა აწ გრძნეული ეგე ნათესაეი ქრისტიანეთაჲ, ვითარ წარწყმედენ მრავალთა კაცთა და განაშორებენ მსახურებისაგან ღმერთთაჲსა. და ქუეყანისა ანის ცხორებასა და საშუებელთა¹³⁷ დააყუდებენ და სიკუდილისაგან არა ეშინის, უფროჲს-ლა საკვრეელისა მის რიფსიმესთვს, რომლისა არაჲინ იყო მსგავს მისა ქუეყანასა ზედა ნაშობთაგან დედათასა. რამეთუ გულსა ჩემსა შთამივარდა და არასადა დამეიწყედეს გონებასა ჩემსა, ვიდრემდე ცოცხალ ყოფად ვარ მე, თრდატ მეფე, რამეთუ იონთაჲ¹³⁸ იგი და ბერქენთა სოფელი ქემშარიტად ვიცი და ჩუენი ესე არშაკთაჲ, რამეთუ ბუნებაჲ ჩუენი არს, და ასურასტანი და სარკინოზნი და კუბანნი. და რავდენი მოვრაცხო, რამეთუ მრავალთა ადგილთა სრულ ვარ მე მშუდობით და მრავალსა ლუაწლსა და ბრძოლასა, და არცა წარტყუენულთაგანი არასადა ვიხილე მსგავს მის[ა] ქმნულკეთილი, რომელი წარწყმიდეს გრძნეულთა მათ, და ეგოდენ განძლიერდეს გრძნებანი მათნი, ვიდრემდე მეცა მძლეს-ვე.

ხოლო ხელისაგან წარდგა სტრატორტ-მთავარი იგი და ითხოვდა ბრძანებასა, რამათა მოკლას¹³⁹ წმიდაჲ იგი გაიანე. ხოლო მას ვითარცა ესმა¹⁴⁰ დაქსნილი და დაშრომილი, შესულეებული ჰგონებდა, ვითარმედ ცოცხალ არს წმიდაჲ იგი რიფსიმე. დიდსა ჯელმწიფებასა და პატივსა აღუთქ[უ]მიდა, რამათა მო-ვითარ რამთ-იბიროს გონებაჲ მის ქალისა მოსლვად მისა. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „ეგრე წარწყმედელ მტერნი მეფისანი, და რომელთა აგინნეს ღმერთნი და შეურაცხ-ყონ ბრძანებაჲ თქუენ მეფისაჲ; არამედ იგი ხოლო გრძნეული, რომელმან წარწყმიდა მისებრ არაჲინ ყოფილი იგი ქმნულკეთილობითა და ორნი მოყუასანი არიან-ლა გაიანეს თანა.

და ვითარცა ესმა¹⁴⁰, ვითარმედ მოკულა წმიდაჲ იგი რიფსიმე, დაწუნენა, და გარდაჰქდა და დაჯდა ქუეყანასა. [და] მოიქდუნა [ჯელნი], ტიროდა და იგლოვდა. მერმე უბრძანა მვნისა მის გაიანესი, რამათა პირველად ენაჲ მისი კისრით აღმოუღონ და მერმე მოკლან იგი ამის გამო, რამეთუ იკადრა და დრკუეთა¹⁴¹ სიტყვთა წარწყმიდა ეგვიპტისარი იგი, რომელსა აქუნდა შუენიერებაჲ¹⁴² კერპთაჲ შორის კაცთა განდრეკილთა. იკადრა უმადლო ყოფად ღმერთთა, რამეთუ მათ მიემადლა მისდა ქმნულკეთილობაჲ იგი, ამისთვს ძვრ-ძვრად მოაკუდინეთ იგი.

ნუსხაშია: ¹³⁶ ცისათაჲ. ¹³⁷ სშუტბ'ლთა. ¹³⁸ იონთაჲ. ¹³⁹ მოკ'ლეს. ¹⁴⁰ ესმა'ჲ. ¹⁴¹ დრკუთა.

¹⁴² შუტნიერბ'ჲ.

და გამოვიდა მტარვალთ-მთავარი იგი სიქადულთ მოკლვად მისა. და უბრძანა და გამოიყვანნეს იგინი დაჯაქულნი ქალაქით მზის აღმოსავალით კერძო ბქეთა მათ, გზასა მას სამეუფოსა, აღვილსა მას, სადა მოწყვდნა ყოველნი თანამდებნი, მახლობელად გარეშე კართა. და დაასობდეს ოთხ-ოთხსა მანასა კაცად-კაცადისა მათგანისათჳს.

ხოლო იგინი ვიდრე განჰმზადებდეს, იწყო სიტყუად წმიდამან გაიანე მოყუსითურთ და თქუა: „გმადლობთ ზენ, უფალო, რომელმან ღირს მყვენ ჩუენ მოსიკუდიდ სახელისა ზენისა დიდისათჳს, ცხოველ გუყვენ მიწისაგან შექმნულნი ესე, რაათა ღირს ვიყვნეთ ღმერთებისა ზენისა და გუაზიარენ ჩუენ სიკუდილსა მას წმიდათა მოწამეთასა, რიფსიმეს თანა და მოყუასთა მისთა რომელთა-იგი შეგიყუარეს. და მხიარულ ვარ, რაათა მეცა ღირს ვიყო ასულისა მის და ზვილისა ჩემისა რიფსიმეს თანა, და დათა მათ და მოყუასთა ჩემთა თანა. აწ მოგვჰსენენ ჩუენ, უფალო, რომელნი-ესე ზენტჳს მოვწყდებით, შევირაცხენით ჩუენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი*. აღდეგ და ნუ დამაგდებ ჩუენ სახელისა ზენისათჳს** და შრმეც ჩუენ ძლევაჲ, რაათა უკეთური იგი მოღვაბითურთ მოუძღურდეს.

[ვ] ხოლო ამისა შგმდგომად მოაპეს სამოსელი მათი მათგან და დასხირპეს იგინი თითოეულად¹⁴³ ოთხსა მანასა. და განუტურტიტნეს ტყავი კოქთა მათთაჲ, და დაადგეს ნესტჳ და განბერნეს ცოცხალნი სამნივე იგი წმიდანი კოქითგან ვიდრე ძუძუდმდე, და აღმოუწუადნეს ენანი მათნი. და სცემდეს ქვითა უბეთა მათთა, და გარდაუდვეს ნაწლევი მათნი და მოჰკუთენეს¹⁴⁴ თაენი მათნი მახვლითა.

და რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს ზათ თანა საბერძნეთით, რომელნი-იგი მოიწინეს ერთობით სოფელსა მას სომხითისასა, იყვნეს რიცხჳთ სამეოცდაათ კაც: ხოლო რომელნი-იგი მოწყდეს წმიდათა მათ დედოფალთა თანა, გაიანეს და რიფსიმეს თანა, რომელნი შეერაცხნეს რიცხუსა მოწამეთასა, ყოვლითურთ იყვნეს რიცხჳთ ოცდაათრვაამეტ¹⁴⁵ კაც.

და აღესრულა¹⁴⁶ ოცდა ექუსსა [თ]თუესა სთულისასა წმიდაჲ იგი რიფსიმე წმიდითა მით დასითა, ოცდაცამეტითა ახოვნებისა მის მოღვაშებითურთ. და მასვე¹⁴⁷ [თ]თუესა ოცდაშუდსა აღესრულა¹⁴⁸ წმიდაჲ იგი გაიანე, და ორნი იგი მოყუასანი მის თანა მვნდეს და ღირს იქმნეს გვრგვინსა და მოიღეს ნიში ძლევისა[ჲ].

ხოლო ვითარ იდიდნეს გუამნი მათნი ვრცელსა მას გრიგოლის ცხორებასა წერილ არს, რამეთუ შუენის¹⁴⁹ დიდებაჲ, პატრივი და თაყუანის-ცემაჲ მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲ აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამენ.

ნუსხაზია: ¹⁴³ თითოულდ. ¹⁴⁴ მოჰკუტენეს. ¹⁴⁵ ოცდაათრვაამეტ. ¹⁴⁶ აღესრულა. ¹⁴⁷ მისვე. ¹⁴⁸ აღესრულა, ¹⁴⁹ შუენის.

* შდრ. ესაია 53,7. ** შდრ. ფსალმ. 43,23.

ლექსნიკა

1. ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვები¹

1. აზნაურ-ი (*აღნიოსკანს*) *აღათასიკიო* 90, 16—167,17.
2. აზოხ-ი *ამრიხ* 92,18—168,32; 98,3—171,5.
ქიიციქის 86.3—166,6.
კრებული *ამრიხ* (*მარეკანს*) 104, 7—173,42.
სიმრავლე (ერისა) *ამრიხ* 96.13—170,22.
3. აზარტაფანება (**ამარართა ანიოქის*) *ამარარაანდვიცანსქ* 80, 11—163,32.
4. აზოვან-ი (**ასიქქანს*) *იყაოაღქს* 93, 3—168,34.
აზოვანებისა მოდგამი *ზარათასქ ასიქი* 112, 16—177,29.
5. (*ბანაკ-ი) დამკვდრებული *რნასქიქ* 105, 12—174,19.
მკვდრობა *რნასქიქის* 99,4—171,22.
სამკვდრებელი *რნასქიქის* 84, 13—165,29.
6. ბილწება. სიბილწე *აღბიქის* 82, 19—164,39; 99 10—171,29; 105, 18—174,32.
შებილწება *აღბქი* 94, 7—169,21.
7. უბიწო (**ანრიქ*) *აყარქეთასკანს* 79.2—163,10.
უბიწოდ *ანარათიქხამრ* 96, 15.—170,24.
უბიწობა *დგათიქის* 94, 13—169,22.
8. ბუნება *რნიქის* 109, 14—176, 21;
სამკვდრებელი *რნიქის* 100, 12—172,7.
9. გუბნია *ყხნას* 101.17—175.32.
10. გუნდ-ი *ვისიყ*. 108.7—175.39.
11. დას-ი *რას* 112.16—177.29.
12. (*დიახან-ი) მოციქული *რხასკანს* 86, 4—166,7; 79, 17—163,25.
13. ვაჭარ-ი *ქანაო* 85, 17—166,3.
14. (*კაზმვა) განზადება *კაჟმსქ* 111, 11—177,6.
15. კეხარ-ი *კაჟარ* 86.10—166,10;
ქაჟარი 90,2—167,26.
16. კერპ-ი (**ქერყ*) *რქ* 111,2—176,41.
17. ლამპარ-ი: (**რამარ*) სანთელი *რასთერ* 82,1—164,20.
კანსქი 107, 4—175,17;
ყარ 106, 17—175,11.
18. მარგალიტ-ი (*მარგარქი*) 89, 13—167,20.
19. ნიორაკო-მოდღარ-ი *ნიორქასკასკანო. რანდასკანო* 106, 16—175,11.
20. ნიშ-ი *ზკანს* 104, 3—173,38.
21. პარ-ი *ყარ* 101.1—171,36.
22. პატფი-ი *ყასიქი* 97,17—171,1; 95,10—169,40.
23. პატრვა: დაპატრული *ყათათათიონს* 104, 4—173,40; 107, 1—175,15.
მოპება *ყათათიქი* 112, 1—177,17.

¹ ვაჩსკელავით ფრჩხილებში ნაჩვენებია ის სიტყვები, რომლებიც მოსალადნელი იყო ქართულის საპირისპიროდ სომხურში, ან პირუკუ—სომხურის საპირისპიროდ ქართულში, სადაც ასეთი სინონიმებით არიან წარმოდგენილი.

24. ეფ-ი ძამ(ანსაკ) 78,14—163,11.
25. როქიკ-ი იინჩქ 86, 1—166,5.
26. ვან: სავანე ქანუკ 108, 4—175,35; 108, 9—174,2.
27. სახტიკ-ი: სასტიკება სასთიკიქს 88, 11—166,43.
28. ხენაკ-ი სხისასკ. 97, 19—171,2.
29. ტაძარ-ი თანარ. 94,4—169,22.
30. ტანჯვა(ნი) თანჯანუკ 96, 6—170,13.
31. ტომ-ი თინასკან 85, 10—165,39.
32. ტრფილ-ი თიქიუ 79, 14—163,20.
33. ურაქპარაკ-ი რეაყარასკ 90,11—167,39.
34. ფოლოც-ი ქიოცი 99, 16—171,39.
35. ქალაქ-ი ქაყაყ 82, 15—164,36.
36. აღშენება ქისხლ 83,4—165,2.
37. ხიციფე ვიქიქს 91,1—167,38.
38. წებ-ი (*ბტ) იქსუ 80, 13—163,25.
39. კეშმარიტ-ი ნქმარქთ 98, 7—171,8.
40. (*პრაგ-ი) სანთელი ნრად 82, 2—164,20.
სასანთლე ნრადარან 89, 4—167,11.
41. შამბავ-ი რამრას. 90, 9—167,32.
42. შროვარტაკ-ი რიქაროსასკ 88, 11—166,42.
წიგნი—რიქაროსასკ 86, 7—166,8.

2. უცხო სიტყვები

1. გაფალაკ-ი ფალ. *grāhvarak, gāsvarak, gavarak, შდრ. სმხ. ვანარსორ, ვანარსორასკ „ტახტი, ტახტრევენი, საჩრდილობელი“ 91, 18—168,13; მეგაფალაკე 91, 18—168,14.
2. ვანლაღება ფალ. იაყ „ამაყ-ი“ 80, 11—163,32.
3. მან-ი ფალ. *man(?), შდრ. სპარს. من „შეშა, მინა“ 86, 1—166,4; მემანე 86,1—166,4
საყსაყირობ.
4. როსიკი-ი ←როსპიკ-ი ფალ. rūspik „კახა“ 82, 20—164,40.
5. სტრატოტ-მთავარი ბერძნ. στρατηγός „მხედართ მეთაური“ 110,4—176,27
6. ხიშიათ-მწერალი ბერძ. τημαεῖογραφοῦ←თამაეიოქ-ქრძაფ „ნიშნით წერა“ 97,15—170,38
7. შარავანდედ-ი 80, 4—163,25 ქაყასორ „მეფე“.

3. არქაული ქართული სიტყვები

1. გამომხატვარ-ი სასთიქრაყირობ „მხატვარი“ 78,9—163,5.
2. ვანგება: ასოდ-ასოდ განავგებდეს 107, 7—175,20 „ასო-ასო აქნიდნენ“ კიქს.
3. ვანდგომილ-ი 82, 9—164,28 საყსითამე „აჯანყებულნი“.
4. ვანგება ნქრპილი „გაპობა, გაზეთქა, განხეთქილება“ (იგივე ძვ. ქართ. „თერძ-ვა“) 104,7—173,42
5. ვანღება ნქრპილი „გაპობა, გახსნა“ (იგივე ძვ. ქართ. „თერძ-ვა“) 98, 9—171,9.
6. გარდართული-ი კარქ „სართული, გადახურული, დახურული“ 102, 2—172,38.
7. გარდართული-ი (სასაწინებლე) კაქსიქ (?) „გადახურული („საწინააღმდეგობის ადგილი, მარანი“) 89,3—167,10.
8. გლეხ-ი 90, 16—167,37 ამქიქ „ბრბო, მასა“.
9. გრძნეულ-ი 110,3—176,25 კაქსიქ.
10. გრძნება(ნი) 110, 3—176,26 კაქსიქ.
11. გუგა 82,5—164,24 ქქე „თვალის კაკალი“.
12. დაბრყვლება 87, 1—166,20 ქქს „დაჩლუნგება“.
13. ხამკვრებელ-ი 101, 4—172,19 თანანჯიქს „მემკვიდრეობა“.
14. დახერპა აქსლ 112,2—177,17 „გაჭიშკრა, გაკვრა“.
15. დელა-მძუქე 88,2—166,35 ვაქსაქ „ძიძა, აღმზრდელი“.
16. შამულ-ი 100, 12—172,17 რაქსიქ „სამშობლო, მამული“ (92, 8).
17. მანა 111, 10—177,4; 107, 2—175,16 ვქე „პალო, სარი“.
18. მებოძირ-ი 90, 4—167,28 ანუკ ნანსაყაროყ „გზაჯვარედინი“.
19. მზუარე: მზუარეს(ა) 104, 11—174,4 კარქსიქ კიქს „აღმოსავლეთით“.

20. მთავარ-ი 90, 15—167,35 *ნაქარარ* „ერისთავი“.
21. მკვრცხლ-ი 90, 9—167,31 *ნოსსაკ* „ქვეითი“.
22. მოდგამ-ი 111,21—177,31 *ვირბაკიყ* „ვეერდში მდგომი, თანა (მოქმედი): საყდრის მოდგამი 86, 10—166,10 *აქიოაკიყ* „თანამოსაყდრე“.
23. მტარვალ-ი 98, 1—171,3 *აყაოსორ* „მსახური“.
მტარვალ-მთავარ-ი 111, 5—171,1 *ვანნაკახთ*.
24. მძივ-ი იღნ 86, 1—166,4.
25. რეწა 86,1—166,5 *თაღ ვჩნა ღნე კერაკრიყ* „საზრდელის ფასის შოვნა“.
26. ხახწნებლე 85, 15—166,1 *ნუბანე* „მარანი“.
27. ხაყოფელ-ი 88, 18—167,5 *კაქან*; 105, 15—174,27 *კარე*; 102, 2—172,38 *რნაკილქჩნ*; 85, 14—166,1 *ნჩაა* „სადგომი სართული, საცხოვრისი“.
28. სახობელ-ი 99, 17—171,34 *ხრე* „სიმღერა“.
29. ხოუელ-ი 112, 16—177,28 *ნიჩი* „შემოდგომის მეორე თვე“.
30. ხოუელ-ი 85, 13—165,43 *ვასაი* „კანტონი“.
31. ფაროხან-ი 90, 8—167,30 *ააყარაქასკ*.
32. ქალხახლხ-ი 87,15—166,31 *ორჩორე* „ქალიშვილი“ (ასევეა ესაიასთან 47,1—იერუს).
33. შეგინება 101, 3—172,17 *აღბილქჩნ* „სიბილწე“.
34. ძუქიუელ-ი *აან* 92,6—168,20 „ალსაზრდელი, აღზრდილი“.
35. შეროვან-ი: პაეროვენად 92, 2—168,16 *ვიქი* „შუქით, ნათლით, დიდებით“.

4. გეოგრაფიული სახელები (ზომიერები)

1. არშაკ-ი: არშაკთა (სოფელი) 109, 14—17,21 *ვორქსავ კიოდან* „პართელთა ქუეყანა“.
2. არტაშა-ქალაქი 104, 13—174,5 *ართაგათ ვაყაქ*.
3. ახურახტან-ი 109, 14—176,22 *სორხათან* „ასურეთი“.
4. ბერძენ-ი: ბერძენთა სოფელი *აქსარან ჰიიმიყ* 109, 13—„პორომთა ქუეყანა“.
5. ვაღნშია ქალაქი 85, 14—165,42 *ვარაქუაყათ ვაყაქ*.
6. კუბან-ი (?) *სორყათასკან* 109, 15—176,22 „ადარბადაგანი“.
7. ნორ(ო)ქალაქი 85, 14—165,43 *ნორავაყაქ*.
8. საბერძენთ-ი 112,9—177,23 *ჰიიმიყ აქსარან* „პორომთა ქუეყანა“.
9. ხარკინოზ-ი 108, 18—176,6 *სარკინოზთა კერძო ქიოდანს თანაკავ* „ტაქიკთა (არაბთა) მხარე“ 109,15 —176,22 *ვანკასათან* „ტაქიკეთი“ (არაბეთი).
10. ფრომან-ი 88, 8—166,41 *მონავ აქსარან* „იონთა ქუეყანა“ (საბერძენთი).

И. В. АБУЛАДЗЕ

ДРЕВНЕГРУЗИНСКИЙ ПЕРЕВОД „МУЧЕНИЧЕСТВА РИПСИМЕ И ЕЕ СПОДВИЖНИЦ“ ИЗ ИСТОРИИ АГАФАНГЕЛА

Резюме

Составной частью Агафангела, как принято считать, является „Мученичество Рипсиме и ее сподвижниц“. Грузинский текст последнего, замеченный в грузинских рукописных фондах еще акад. Н. Я. Марром и проф. Л. М. Меликсет-беком, по исследованию автора представляет перевод, сделанный с древнеармянского языка, на котором сохранены названный источник в пространной, т. е. национальной редакции.

Перевод, довольно близкий к оригиналу, по языковым приметам, приведенным автором выше (стр. 551—7), сделан во второй половине VIII в. или в первой половине IX в.

„Мученичество Рипсиме и ее сподвижниц“ находит отражение в грузинской исторической литературе (имеется в виду История Леонти Мровели), куда оно проникло с греческой пространной редакции Агафангела, а не с метафрастической, как это предполагалось некоторыми учеными.